№ 4 — 3 ₽

გამოცემა სპ. ჭილაძისა № 14

ბ. ს.

ეროვნული ეკონომიური ბიბლიოთეკა

მრეწველობის განვითარება

შრომა და კაპიტალი

პოლიტიკური ეკონომიის ანბანი

თარგმანი ვ—ისა

მათუმი
ელექტრონით მბეჭდავი „ჩერნომორსკი ვესტნიკისა"
1905

ჩვენს ალაზიაში იყიდება

შემდეგი ქართული სამეცნიერო წიგნები:

ბასტონ ტისანდე. მეცნიერებისათვის წამებულნი 1 ,,

ვადავოზოვი. ინგლისელები, გერმანელები, და იტალიელები, თითო ,, 30

ბიკოვი. ამბები ინგლისის ისტორიიდან ,, 50

კ. კაუცკი. ისტორიულ-ეკონო. ნარკვევი ,, 20

ივ. ბომართელი. შილერის პოეზიის ძირითადი თვისებანი ,, 20

მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმოშობა განვითარება ,, 20

პოლ. ლაფარგი. მანქანის მნიშვნელობა ,, 10

მასსე. ლუკმა პურის ამბავი ,, 60

ი. ბელკონსკი. ერობა და თვით მართვ. ,, 10

კარლ მარქასი. ვაჭრობის თავისუფლება ,, 10

ლუნკევიჩი. მწვანე სამეფო. ,, 20

მიჟუევი. მოწინავე დემოკრატია ,, 60

ავგ. შლეიხერი. დარვინის თეორია ,, 20

ალ. მირიანაშვილი. ფიზიკა ,, 15

ბ. სტატკოვსკი. მიკროსკოპ. ორგანიზმნი ,, 20

რუბაკინი. ბუნების საოცარი მოვლენანი ,, 15

ალ. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიისა ,, 50

მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება ,, 30

რუსულ ქართული და სხვა ლექსიკონები და

აგრეთვე თხზულებანი

ილია ჭავჭავაძისა, რაფაილ ერისთავისა, აკაკი წერეთლისა, მამია გურიელისა, ბიორგი წერეთლისა, ან. ფურცელაძისა, სერგეი მესხისა, ეგნატე ნინოშვილისა, ვაჟა ფშაველასი, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხ...

გამოცემა სპ. ფოლიანისა № 14.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მრეწველობის განვითარება

37686

ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠ. ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“
1905

Дозволено цензурою. г. Тифлисъ. 19 Апрѣля 1905 г.



შესავალი

ყველამ იცის, რომ ადამიანები ისე არა ცხოვრობდენ, როგორც დღეს ჩვენა ვცხოვრობთ. იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდენ ისინი ძველად, როგორ მუშაობდენ და რა გვარ სარგებლობდენ თავიანთი შრომის ნაყოფით, ჩვენ ვტყობილობთ მეცნიერთა მიერ დაწერილ წიგნებიდან. დრო ყოფილა, როდესაც ხალხს არა ჰქონია სხვა იარაღი გარდა შვილდ-ისრისა, კეტისა და უბრალო ქვისაგან გაკეთებული დანებისა. რასაკვირველია, იმ დროს არც არავითარი ცოდნა ექნებოდათ მიწის შემუშავებასა და ბინადრობით ცხოვრებაზე. ისინი მუდამ გადადიოდენ ერთი ადგილიდან მეორეზე საზრდოს მოსაპოვებლად. მარტოხელ კაცს, უბრალო შვილდ-ისრით და კეტით შეიარაღებულს, სად შეეძლო ან ძლიერი ცხოველის დამორჩილება და ან მტაცებელ აღტირებისგან თავის დაცვა. აი, ამიტომ ადამიანები იძულებული გახდენ ერთად ეშრომათ, ერთად ეძებნათ საზრდო-საკვები და ერთად ესარგებლათ ნაშოვ-ნაპოვნით. ამ ყოფა-

ში თანდათან ადამიანს გონება უკითარდებოდა, მან გაიუმჯობესა შრომის იარაღები, შეისწავლა მიწის ნაყოფთა გამოყენება და ამ გვარად ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა, გალონიერდა. ამ დღიდან დაიწყო ბინადრობა და მიწის შემუშავებით ცხოვრება ადამიანისა. იგი ძლიერდება, საზრდოს მოპოებაში სხვის დახმარებას აღარ საჭიროებს. ადამიანებს ჯგუფ-ჯგუფად უნდა ეცხოვრათ, რომ ადვილად მოეგერებიათ ძლიერი მტერი, მაგრამ თვით ამ საზოგადოებაში-კი ყოველი წევრი იღვწოდა მხოლოდ თავისთვის, აკეთებდა ყველაფერს, რაც-კი საჭირო იყო მისთვის, და ამ გვარად საკუთარი შრომით მოპოებული ქონება შეადგენდა მის კერძო საკუთრებას. იმ დროს კაცი ნაკლებათ იყო განვითარებული, მაგრე რიგათ ფასს არ სდებდა ბუნების სიმდიდრეს, არ ჰქონდა მას რიგიანი შრომის იარაღები. გაიარა საუკუნოებმა და ისიც, ვინ იცის რამდენმა, ვიდრე ადამიანი უკეთ გაიცნობდა ბუნებას. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაიგო ახალი, ბევრი რამ გამოიგონა ადამიანმა; გაიუმჯობესა შრომის იარაღები, შეისწავლა, შეიგნო რა ძალა აქვს წყალს, ქარს და ყოველივე ამით უმატა თავის კეთილდღეობას. შრომის იარაღების ხმარებაში და ნაშრომის გამოყენებაში, ცოდნა-გამოცდილების

შემენასთან ერთად, ადამიანის მეცადინეობა, წინეთ ყველასათვის ერთგვარი, შეიცვალა, სხვა სახე მიიღო, მარტივი შრომა გართულდა, გასხვა-და-სხვავდა და ამიტომ ერთი და იგივე კაცისთვის შეუძლებელი გახდა ყველა იარაღების ხმარება, ყველა საქმის სარგებლიანათ გაკეთება; ველარ შესძლო ერთმა და იმავე პირმა კარგი წაღების შეკერვაც, სახლების აშენებაც და ამასთან ერთად მიწის შემუშავებაც; დარწმუნდენ, რომ მუშა, რომელიც მარტო ერთ საქმეს ადგია, გაცილებით უკეთ და მარდათაც ასრულებს მას, ვიდრე ის, რომელიც ბევრ სხვა-და-სხვა გვარ საქმეს ჰკიდებს ხელს. ამის გამო ხალხში განაწილდა შრომა. საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაიწყო მარტო მიწის შემუშავება, მეორემ მიჰყო ხელი მჭოლოთ ჭურჭლის მომზადებას, მესამემ ხუროობა დაიწყო, მეოთხემ მეწაღეობა და სხ. რასაკვირველია, მიწის მომუშავეთ იმაზედ მეტი ხორბალი მოჰყავდათ, რაც მათთვის საკუთრივ საჭირო იყო და აი ამ მეტ ხორბალს ისინი უცვლიდენ მეწაღეს წაღებში, მკერვალს ტანისამოსში და ხუროს აშენებულ სახლებში. ამ ნაირათ არც მეწაღე, არც ხურო, არც მკერვალი აღარ უნდებოდა მიწის შემუშავებას, რადგანაც მათ ხორბალი მზათ მოსდიოდათ თავიანთ ნამუშევარში.

ყველასთვის სახეირო აღმოჩნდა ამ გვარათ შრომის განაწილება. მიწის მომუშავე, გუთნის ხმარებას მიჩვეული, ერთი წყვილი უხეირო წალის შეკერვას ორი კვირა მაინც მოუნდებოდა, მაგრამ კარგი მეწალე ორ დღეში საუკეთესო წალებს შეჰკერავდა. ამიტომ მიწის მომუშავე აძლევდა მეწალეს წალებში იმდენს ხორბალს, რამდენსაც პირველი მოამზადებდა იმ დროს განმავლობაში, რომელსაც უკანასკნელი მოანდომებდა ერთი წყვილი წალის შეკერვას, ე. ი. ორ დღეს. ამ გვარათ დანარჩენი 12 დღე თავისუფალი რჩებოდა მიწის მუშას. იმ დროის ხალხი მაინცა და მაინც თავისი ნაშრომის მომეტებულ ნაწილს თვითვე ხმაროობდა და მარტო უმცირეს ნაწილს სცვლიდა თავისთვის საჭირო სხვის ნაწარმოებზე. ცნობილია, რომ საკუთარი ხელით ბევრს ვერ გააკეთებ და რომ არ მოეგონა კაცს რაიმე საშვალება სხვა-და-სხვა ნივთების მოსამზადებლად, იგი მუდამ მძიმე ტვირთ ქვეშ, ტანჯვაში და სიღარიბეში იცხოვრებდა.

თვისდა საბედნიეროთ ადამიანები იგონებენ მაშინებს; მაშინა აძლევს მათ საშვალებას მოკლე დროში, ცოტათ თუ ბევრათ მოხერხებული მეცადინეობით მოამზადონ ის საჭირო ნივთები, რომელთა გაკეთებისთვის

საკუთარი ხელით უნდა მოენდომებიათ ძალიან ბევრი დროც და ამასთან ვერც მაგრე რიგათ ხეირიანი გამომდგარიყო. მაგალითად, სოფლის მჭედელი ერთი უხეირო ნალის გაკეთებას ანდომებს რამდენიმე საათს მაშინ, როდესაც ფაბრიკაში მომუშავე მაშინის შემწეობით ერთ წამს ამზადებს ორას ცალს მშვენიერს და მაგარ ნალს.

ფეიქარმა ხელით საქსოვ დგიმზე (**ткацкій станокъ**) უნდა ბევრი შრომა დახარჯოს, რომ რამდენიმე არშინი ტილო მოქსოვოს; მაშინაზე-კი 5—6 საათში რამდენიმე ათასს არშინ ტილოს ქსოვს ფეიქარი. ასე და ამ გვარათ მაშინა დიდ შელავათს აძლევს ადამიანს, იგი უმზადებს მას მცირე ხანში მრავალს, ცხოვრებისათვის საჭირო ნივთს. აი, მიზეზიც, რომ გვარიანი ტანსაცმელი, კაი სადგომი და ყოველივე ის, რაც ადამიანის ცხოვრებას აუმჯობესებს, ასი წლის წინეთ მხოლოთ მდიდრებისთვის იყო ხელ-მისაწდომი. ხელით შრომა ამზადებდა ფრიად მცირე საქონელს, ახლაკი მაშინა ამზადებს იმდენს, რომ მისი ნაწარმოები ეყოფოდა ყველა ადამიანს...

მეცნიერთა გამოანგარიშებით, ყველამ რომ დღეში მარტო ხუთი საათი იშრომოს დღევანდელი შრომის იარაღებით, საკმარისი იქნებოდა ადამიანის ყველა მოთხოვნილებათა. დასა-

კმაყოფილებლად, თუ ამასთან ავიცილებდით თავიდან უწესრიგობას თანამედროვე წარმოებაში. მაშასადამე, რო უფრო გააუმჯობესონ მაშინები და სრულიათ განიდევნოს ხელით მუშაობა, მაშინ ხომ დღეში სამი საათიც საკმარისი შეიქნებოდა. რამდენი თავისუფალი დრო დაურჩებოდა მაშინ ადამიანს სწავლისთვის, გასართობად და დასასვენებლად!.. ჩვენი ნათქვამიდან ცხადათ ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მაშინებს ადამიანთა ნივთიერი მდგომარეობის განკარგებისათვის, რამდენათ უადვილებენ მათ შრომას და რამდენ საშუალებას აძლევენ, სიამოვნებით და ბედნიერათ გაატარონ თავისი სიცოცხლე. ამითაც არ ისაზღვრება მაშინების ზე-გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და მათ წეს-რიგზე. ერთ დროს ყოველი ცალკე ტომი, სოფელი და ყოველი მიწის მომუშავე კერძო ოჯახიც-კი თითონ იმზადებდა ყველაფერს, რაც-კი მას ესაჭიროებოდა.

ყოველი მიწის მუშა საკუთარი ხელ-საფქვავით იმზადებდა ფქვილს და პურსაც თითონვე იცხობდა; საკუთარი ნართიდან იგი ქსოვდა ტილოს, ცოლი-კი უკერავდა ტანსაცმელს. ასევე ტყეში ხეებსაც თითონ სჭრიდა, გამოჰქონდა და ქოხს იშენებდა. ამ გვარათ ყველა ასეთი ოჯახი ცხოვრობდა სხვებთან

დამოუკიდებლათ. ერთ მშვენიერ დღეს, რომ მთელი კაცობრიობა დაღუპულიყო, ეს ოჯახი თუმცა მარტო თავის ანაბარა დარჩებოდა, მაგრამ არაფერს წააგებდა და ჩვეულებრივ განაგრძობდა ცხოვრებას. ახლა ვნახოთ რომელიმე დიდი ფაბრიკა, აქ მუშები ძლიერ დამოკიდებულნი არიან ერთი-ერთმანეთზე. უბრალო ზეთის წაჭცხები მუშა რო გახდეს ავათ და მის მაგიერ სხვა ვერავინ იშოვონ, მთელ ფაბრიკაში მუშაობა შეწყდება და ყველა მუშებმა, ერთი მომუშავის ავადმყოფობის გამო, მუშაობას დროებით თავი უნდა დაანებონ. თუნდ ხელოსნობა შევადაროთ ფაბრიკის წარმოებას. ყველა ხელოსანს, რომელსაც-კი გაუკეთებია რაიმე ნივთი, სრული უფლება აქვს სთქვას, რომ ნივთი მომზადებულია მხოლოდ მისი საკუთარი შრომით, ფაბრიკის მომუშავე-კი ამზადებს მარტო ნაწილს რომელიმე ნივთისას. ავიღოთ მაგალითად, ქინძისთავი, რომლის მომზადება ასი წლის წინათ ასწერა ადამ სმიტმა. ქინძისთავის მომზადება 18 სხვა-და-სხვა საქმეთ იყო დაყოფილი. ერთი მავთულს აკეთებდა, მეორე ასწორებდა მას, მესამე აპრიალებდა, მეოთხე ჭკვეცდა, მეხუთე წვერს უკეთებდა, რაზედაც თავი უნდა დაემაგრებინათ, მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავებს აკეთებდენ; ცალკე მუშა

ამაგრებდა თავებს, ცალკე მუშა უსვამდა საღებავს და, სხვათა შორის, იყო კიდევ ისეთი მომუშავე, რომელიც მომზადებულ ქინძისთავებს ქაღალდში აბნევდა.—მე თვითონ მინახავს ერთი პატარა ფაბრიკა,—ამბობს ადამ სმიტი, სადაც 10 კაცი მუშაობდა უბრალო იარაღებით და ამზადებდა დღეში 48,000 ქინძისთავს (თითო მომუშავეზე მოდის – 4,800). ყველა ამ მუშებს ცალ-ცალკე რომ ემუშავნათ სხვების დაუხმარებლათ (შრომის გაუნაწილებლათ) და გვარიანათ არ ყოფილიყვნენ გაცნობილნი საქმესთან, უეჭველია, თითო მათგანი დღეში ვერც 20 ქინძისთავს მოამზადებდა, და, შეიძლება, ერთიც ვერ გაეკეთებინა.

საფრანგეთის მეცნიერს სეის მოჰყავს ერთი უფრო განსაცვიფრებელი მაგალითი, საიდანაც ვტყობილობთ, რომ შრომის განაწილება სასარგებლოა, სახელდობრ ლაპარაკობს სათამაშო ქაღალდების ფაბრიკაში მომზადებაზე:—ყოველი ცალი სათამაშო ქაღალდისა,—ამბოს სეი—გადადის 70 სხვა-და-სხვა ჯურ მუშათა ხელში: ერთნი მარტო ქაღალდს ამზადებენ, მეორენი საღებავს, მესამენი სამ ფურცელ ქაღალდს ერთი-ერთმანეთზე აკრავენ, საიდანაც შემდეგ სათამაშო ქაღალდებსა სჭრიან და საქაჩავის ქვეშ აწყობენ. ერთნი ქაღალდს უკანა მხარეს ღებავენ, მეორენი ბეჭდავენ

მათზე სურათებს შავი საღებავით, მესამენი სურათებს სხვა-და-სხვა საღებავით ღებავენ, მეოთხენი აშრობენ. ზოგ მუშას მინდობილი აქვს ქაღალდის რიგზე დაწყობა და სხვ. ამ გვარათ შრომის დანაწილების შედეგი სწორეთ გასაოცარია. სათამაშო ქაღალდის ერთს ფაბრიკაში, სადაც მხოლოდ 30 კაცი მუშაობდა, მზადდებოდა 15500 ცალი დღეში, ე. ი. ყოველ მუშაზე მოდიოდა 500-ზე მეტი. თვითეული მუშა რო იძულებული ყოფილიყო სკოდნოდა ყოველივე საქმე სათამაშო ქაღალდის მომზადებაში, მაშინ ყოველ მათგანს რამდენიმე წელიწადი დასჭირდებოდა მის სხვა-და-სხვა საქმის შესასწავლად და ვერც ერთი მათგანი ვერ შესძლებდა დღეში ორ ქაღალდზე მეტის მოშზადებას. ბევრმა დრომ განვლო მას შემდეგ რაც ადამ სმიცი და სეი ცხოვრებდენ. ჯერ ისევ იმათ დროსვე თითო მომუშავე ასრულებდა მარტო მცირე ნაწილს იმ საერთო შრომისას, რომელიც საჭიროა ქინძისთავის ან სათამაშო ქაღალდის მოსამზადებლათ. ჩვენ დროს-კი მუშის შრომა ფაბრიკაში უფრო გაადვილებულია: ერთი მაშინა ეწევა მავთულს, მეორე სჭრის მას, მესამე საქინძისთაოდ დაჭრილ მავთულს ამწვეტებს და სხვა... მუშა მარტო პირში აძლევს მაშინას მავთულს და ჰკრეფს უკვე დაჭრილს, ანუ მომზადებულს.

აქ მაშინა მაშინისთვის არის საჭირო, და თუმცა მუშები მაშინებით ერთსა და იმავე საქმეს ასრულებენ, მაგრამ მათ შორის დამოკიდებულება აქ უფრო ძლიერია, რადგანაც ყველამ ხელი უნდა შეუწყოს მაშინის მოძრაობას: ასწიონ, ანუ დასწიონ ხელები, მიუახლოვდენ ანუ დაშორდენ იმის-და-გვარათ, თუ საით და როგორ ტრიალებს მაშინის თვლები, ე. ი. ყველა მუშები თანაბრათ საჭირონი არიან.

არც ადამ სმიტის დროინდელ ფაბრიკის მუშებს და არც ეხლანდელ ფაბრიკის მომუშავეთ არ შეუძლიათ გვიჩვენონ, თუ მომზადებული ქინძისთავის რომელი ნაწილია ნამდვილათ მათი, ან მათის ამხანაგების ნაშრომი. ამის ჩვენება უფრო ძნელია უზარმაზარ მაშინაში, რომლის გაკეთებაში ისინი ერთად იღებდენ მონაწილეობას სხვა წვრილ მაშინების შემწეობით.

ჩვენი დროის წარმოების წეს-რიგი აერთებს ყველა ფაბრიკებში მომუშავეთ. ყოველ ფაბრიკას დამოკიდებულება აქს იმ ფაბრიკებთან, რომლებიც, მაგალითად, უმზადებენ მასდაუმუშავებელ მასალას, უგზავნიან მაშინებს და სხვათა შორის იმ ფაბრიკებთანაც, რომლებსაც თვით უგზავნის მომზადებულ საქონელს. არა თუ ფაბრიკებს, ყოველ ერს აქვს დამოკიდებულება იმ უცხო ერებთან, რომლებ-

ასაც ის უგზავნის თავისს საქონელს და ამის ნაცვლათ მოსდის მას იმათი ნაწარმოებიც; მთელი განათლებული კაცობრიობა წარმოადგენს დღეს ერთ-სულ არსებას, რომლის ცალკე ნაწილები, ე. ი. კერძო ერები მაგრათ არიან ერთმანეთში დაკავშირებულნი და ერთი ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი. ეს მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება დღითიდღე მატულობს. წინათ, როდესაც მიმოსვლა სახელმწიფოთა შორის ძალიან ძნელი იყო უგზოობისა და შიშიანობის გამო, ყოველი სახელმწიფო იმას ცდილობდა, რომ თვითონ მოემზადებინა თავისთვის ყოველივე, რაც-კი მას დასჭირდებოდა ცხოვრებაში; ახლა-კი ყოველი სახელმწიფო თითონ მარტო იმას აკეთებს, რაც მისთვის უფრო სახეიროა, დანარჩენ საქონელს-კი მოეზიდება სხვა სახელმწიფოებიდან. კაცობრიობის ამ განვითარების მოკლე განხილვიდან ჩვენა ვხედავთ, რა რიგათ იცვლება მთელი მისი ცხოვრება შრომის იარაღთა განვითარებით და წარმოების წეს-რიგის შეცვლით. სანამ სახელმწიფოში მისდევენ მარტო მიწათ-მოქმედებას, ვისთვის რა საჭიროა ან რკინის გზები, ან მეცნიერება: ყოველი მთები, ყოველი სოფელი ცხოვრობს კარჩაკეტილი, სრულიათ შოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნიერებას. ყველგან აქვთ თავისებური ზნე-

ჩვეულებანი, წეს-რიგი ცხოვრებისა და ნაშრომ-ნალვაწიც მომუშავეთა სრულ საკუთრებას წარ-მოადგენს. ხოლო, როდესაც არსდება დიდრო-ნი ფაბრიკები, უსათუოდ იმართება ამ დროს რკი-ნის გზებიც საქონლის გადასატან-გადმოსატა-ნად; ხალხი იწყებს მალიმალ ერთი ადგილი-დან მეორეზე გადასვლ-გადმოსვლას; კერძო პირთა შრომის ნაწარმოები ჰკარგავს კერძო ხასიათს და საზოგადო კუთვნილებად ხდება, რის გამოც მთელი კაცობრიობა ერთიანდება.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ კერძო სა-კუთრება, ოჯახის ფორმა და სახელმწიფო წეს-წყობილება იცვლება შრომის იარაღთა განვი-თარებისა და წარმოების წეს-რიგის ზე-გავლე-ნითო. უბრალო სახელოსნო დაბგერეზე მომუ-შავეთ უნდა ჰქონდეთ, რასაკვირველია, სხვა-ნაირი წეს-რიგი, ვიდრე იმათ, ვინც მუშაობს დიდრონ ფაბრიკებში უზარ-მაზარი მაშინებით.

ადამიანთა შრომა მუდამ ამზადებს რაიმე ნივთს: სტოლს, მაუდს და სხ. ეს ნივთები იყი-დება. კითხვა იბადება: რატო იყიდება ესენი ამ ფასათ და არა ამა-და-ამ ფასად? ვიცით ად-რეთვე, რომ პური მხოლოდ ზოგიერთებს მოჰ-ყავთ, სარგებლობით-კი ყველანი სარგებლო-ბენ; კიდევ იბადება ეს კითხვა: რანაირათ სარ-გებლობენ ის პირნი, რომელთაც იგი არ მოჰ-ყავთ? კიდევ და კიდევ: სტოლის გასაკეთებ-

ლათ ხომ საჭიროა ხე და იარაღები, მაშ როგორ დავიბრუნოთ ხის მოჭრა-დახერხვაში და იარაღებში დახარჯული ფული? რატომ არის ამასთანავე, რომ ყველა კაცი ერთ ნაირათ საჭიროებს და ეძებს ფულს? ყველა ამ კითხვებზე პასუხს იძლევა პოლიტიკური ეკონომია. ის გვასწავლის სიმდიდრის გაჩენა-განვითარების კანონებს. ბოლოსა და ბოლოს კი, როგორც ყოველისფერი, ეს კანონებიც იცვლებიან შრომის იარაღთა განკარგებით და წარმოების წეს-რიგის ზე-გავლენით.

I.

შრომა და მისი განაწილება.

ყველა სხვა ქვეყანაში-კი ადამიანს ბევრი შრომა სჭირდება, რომ ცოტა ორდნათ მაინც უზრუნველ-ჰყოს თავისი არსებობა. ადამიანის კეთილ-დღეობა აქ მთლად დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ შრომაზე. დავუკვირდეთ ადამიანთა ცხოვრებას უფრო დაახლოებით. თუმცა მათ შორის ყველაფერი შრომით კეთდება, მაგრამ შრომა ბევრ გვარია, ერთი შრომა განსხვავდება მეორისაგან. ჩვენ ვხედავთ მთავრებს, რომელთა მთელი შრომა გამოიხატება ქვეყნის მფლობელობაში, კანონებისა და ბძანებათა წერაში და სხ. ვხედავთ აგრეთვე ღენერლებს, რომელთა ცხოვრება ჯარის გაწვრთნა-მომზადებაში მიდის; არიან მინისტრები, რომელნიც განაგებენ სახელმწიფოს აუარებელ მოხელეთა შემწეობით; ვხედავთ ვაჭრებს და მწარმოებლებს, რომელთაც ადგილიდან ადგილზე გადააქვთ საქონელი და ასე სხვა-და-სხვა საქონლის გაცვლა-გამოცვლით შუამავლობენ. მრავალი ხალხი მუშაობს არხების გაყვანაზე, გზა-ტკეცილებისა და რკინის გზების გაკეთებაზე, რაც ძრიელ სასარგებლოა ყველასთვის, თუმცა დიდ შრომას ახლულობს მომუშავეთაგან.

ესეც-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამ გვარ საქმეს ასრულებს მომუშავეთა უმცირესი ნაწილი. უმრავლესობა-კი უნდება დაუმუ-

შავებელი მასალის მომზადება-შემუშავებას. მაგალითად, მიწისა და მადნის მუშები, მეთევზენი, მონადირეები აგროვებენ და ამზადებენ მხოლოდ დაუმუშავებელ მასალას. სხვა მუშები-კი ფაბრიკებში, წისქვილებში და თორნეფურნეებში მუშაობენ ამ დაუმუშავებელ მასალაზე და დამუშავებულ საქონელს აწვდიან ხალხს. ყველა ამ საგნებს, თუ უკვე გასაყიდათ არის მომზადებული, ეწოდება საქონელი. საქონელი აკმაყოფილებს არა მარტო იმ პირთა მოთხოვნილებას, რომელთაც მოამზადეს იგი, არამედ მთელ საზოგადოებისას.

II.

ფუფუნება, განცხრომა (роскошь)

საზოგადოთ ყველანი ფიქრობენ, ვითომც შეძლებულთა გადაჭარბებული ცხოვრება შეადგენდეს მუშათა ხელ-ფასისა და მათ კეთილდღეობის წყაროს. ჰგონიათ, რომ მდიდრებმა რომ აღარ ჩააცვან თავიანთ ცოლებსა და ქალებს აბრეშუმისა და ხავერდის ტანისამოსი, რომ მათ ოთახებში არ ეფინოს ძვირფასი ხალიები, კედლებზე გაკრული არ იყოს ძვირფასი მუყაოერი, რომ ოთახები მორთული არ იყოს ძვირფასის ხელოვნებით მოჩუქურთმებული ავეჯეულობით და სხვა ათას გვარი, თუმცა სა-

უცხოვო, მაგრამ უსარგებლო ნივთებით, მაშინ მრავალი მუშა, რომელიც ამზადებს ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს, უსაქმოდ დარჩებოდაო და მასთან ერთად უხელფასოდ, ე. ი. ცხოვრების სახსარი მოესპობოდათო. აქედან ბევრსა სწამს, რომ ვითომ მდიდართა გადაჭარბებული ცხოვრება ჰკვებავს მრავალ ლატაკ მუშას. დღევანდელ ცხოვრების ვითარებაში ასეთი შეხედულობა, საუბედუროთ, ბევრს მიაჩნია სრულ ჭეშმარიტებად. გავარჩიოთ ეს შეხედულობა უფრო დაახლოვებით.

ხალხის ცხოვრებისათვის საჭიროა სხვა-დასხვა საქონელი და ამის გამო მუშებმა ანუ მწარმოებლებმა უნდა იმდენი საქონელი მოამზადონ, რომ ყველასთვის საკმარისი იყოს. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში თავის შრომაში ყველა იღებს ფულს, რომლითაც ის ყიდულობს დუქნებში და მაღაზიებში თავისი ცხოვრებისა და ოჯახისათვის საჭირო საგნებს. მრავალ გვარი საქონელი, რომელიც გამოტანილია ბაზარში და რომელიც აწყვია საწყობებში, მაღაზიებში და დუქნებში გასასყიდათ, შეადგენს მუშათა მარჯვენისა და შრომის ნამოქმედარს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ მუშას გამოაქვს ბაზარში მისი შრომით მომზადებული საგნები და ამათ ნაცვლად მიაქვს იქი-

დან სხვა ნივთები, ღირებულობით მიტანილ საგნების თანასწორი. აქ ცხადათ დავინახავთ, რომ მუშები, რომელნიც ამზადებენ მდიდრული ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს, ამ თავისივე ნამოქმედარიდან თითქმის არაფერს არ ხმარობენ, რადგან ეს ნივთები მათთვის სრულიად მეტია.

ყველა ის ჩვეულებრივი საგნები, ურომლებოთაც ადამიანებს ცხოვრება არ შეუძლიათ, მაგალითად: საჭმელი, ტანთსაცმელი, ჭურჭელი და სხვა უსაჭიროესი ნივთები, აწყვია ცალკე საწყობებში; ამ საწყობებიდან ყიდულობენ ამ ნივთებს, როგორც მწარმოებელი მუშები, ისე ისინი, რომელნიც საზოგადოებას რაიმე სამსახურს უწევენ. ეს საწყობები სავსეა ხოლმე იმ საგნებით, რომელნიც ყველასათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. ეს იმას ამტკიცებს, რომ ნაწარმოები იმ მუშათა, რომლებიც მხოლოდ ყველასათვის უსაჭიროეს ნივთებს ამზადებენ, იმდენად ბევრია, რომ ყოფნით არა მარტო მწარმოებელ მუშებს, არამედ იმათაც, რომელნიც მდიდრებისათვის საფუფუნე ნივთებს ამზადებენ და კიდევ, იმათაც ვინც საზოგადოებას რაიმე სხვა სამსახურს უწევს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მეორე საწყობში აწყვია მარტო საფუფუნე ნივთები და საგნები; თუმცა ეს საწყობი სავსე იქნება

მხოლოდ იმ მუშათა შრომით და ოფლით მომზადებულის საგნებით, რომელნიც განსაკუთრებით მდიდრული ცხოვრების დასაკმაყოფილებელს შეადგენენ, მაგრამ ამ განყოფილებიდან მხოლოდ მდიდრები წაიღებდენ ამ ნივთებს, რომლებიც იმავე დროს იმ საწყობებითაც სარგებლობენ, სადაც ყველასათვის საჭირო ნივთები აწყვია; აქედან ისინი წაიღებდენ: პურს, ხორცს და სხვ.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მოთხოვნილება საფუფუნე საგნებზე მოისპო, ე. ი. ამ საგანთა წარმოება შესწყდა. იმ მუშებმა რომელნიც აქამომდე ამ საგანთა წარმოებაში იყვნენ დაბანდებულნი, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ, ძალა უნებლიეთ უნდა დაიწყონ მომზადება ყველასათვის საჭირო საგნებისა. ამ შემთხვევაში ესენი თავიანთ ნაწარმოებს იმ საწყობებში გაგზავნიდენ, სადაც ყველასათვის საჭირო ნივთები აწყვია, და ამ სახით, ყველასათვის საჭირო საგანთა რაოდენობა იმატებდა. ამის წყალობით, ახლა ყველას შეეძლებოდა წინანდელზე უფრო მეტი საგნები წამოელო ამ საწყობიდან. ავხსნათ ეს მაგალითებით. წარმოვიდგინოთ, რომ ქალების მორთულობა, სახლის მოწყობილობა და სასმელ-საჭმელები, რომელიც ერთ შექცევაში (წვეულებაში) დაიხარჯება, ღირს 100,000 მანეთად; ეს და-

ახლოებით შეადგენს ერთი მუშის 100,000 სამუშაო დღის ხელფასს. თითქმის 330 კაცს უნდა ემუშავნა მთელი წლის (300 დღე) განმავლობაში, რომ მოემზადებინა ყველა ის საგანი, რომელიც ერთ საღამოს დაიხარჯა. თვითონ მუშები-კი, რომელნიც ამზადებენ ყველა ამ საგნებს, უმეტესად დიდ გაჭირვებაში ცხოვრობენ, აუტანელ ტანჯვაში და საშინელ სილარიბეში ატარებენ მთელს თავიანთ სიცოცხლეს. ფეიქარს, რომელიც ძვირფას, წმინდა ტილოს ამზადებს, ხშირათ უხეირო ჩითის პერანგიც-კი არა აქვს ხოლმე თავის პატარა ბავშისათვის; მუშა ქალი, რომელიც თავის თვალის ჩინს კარგავს ძვირფასი, ობობას ქსელსავით წმინდა არშიების მოქსოვაზე, ხშირად ხანგრძლივ ტანჯვაში შიმშილით სულსა ლევს ხოლმე; მკერვალი ქალები, კაცები, ყვავილების მომამზადებელ-გამყიდველნი და სხვ. თავიანთ სიცოცხლის მომეტებულ დროს შიმშილში ატარებენ. ყველა ამ მშრომელთა კარგათ იციან, რომ იმათი შრომის ნაყოფი ძალიან სწრაფად იხარჯება. სულ სხვა იქნებოდა, რომ ამ 330 კაცს მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ უბრალო ჩითი, მაუდი და სხვა ყველასათვის უსაჭიროესი საგნები მოემზადებია; ასეთი შრომა არა თუ მარტო მათ შემოსავდა გვარიანის ტანისამოსით, არამედ იმდენს მოამ-

ზადებდენ, რომ მათი შრომის ნაყოფი ორ-ჯელ მეტ მცხოვრებს შემოსავდა.

ავიღოთ მეორე მაგალითი: მდიდარი კაცი აშენებს თავისთვის სასახლეს, რომელიც ყოველივე მასალით და მორთულობით უჯდება 300,000 მანეთი. შრომა, რომელიც დაიხარჯება ერთი ოჯახისათვის აშენებულ სახლზე ეთანასწორება 1000 კაცის წლიურ შრომას. რამდენს უბრალოს, მაგრამ მკვიდრს და ფართო სახლს ააშენებდა ერთი წლის განმავლობაში ეს ათასი კაცი და რამდენ ღარიბ ოჯახს (რომელნიც ნესტიან და ცივ სარდაფებში ატარებენ მთელ თავიანთ სიცოცხლეს) შეეძლებოდა გვარიან ოთახებში ეცხოვრა და თავისი სიცოცხლე გაეხანგრძლივებია.

ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საფუფუნე ნივთებზე შეხედულობის განსაზღვრა ძალიან ძნელია. იმ საგნებს, რომლებიც 50 წლის წინეთ, იშვიათი საშოვარი იყო და რომლებითაც, მაშასადამე, მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ ესარგებლათ, ახლა წარმოების გაუმჯობესებისა და გაადვილების წყალობით, ყველა ხმარობს და ყველასთვის უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენენ ისინი. შეიძლება დანამდვილებითა ვსთქვათ, რომ რამდენათაც უფრო გაფართოვდება ასეთი საგნების წარმოება, იმდენათ ისინი გახდებიან ყველასათვის

უსაჭიროეს საგნებად. ველურ ხალხს საპნის ხმარება მომეტებულ რამედ მიაჩნია; მუშათა უმრავლესობა, საუბედუროდ, დღემდის გაზეთების და წიგნების კითხვას ალმაცერათ უცქერის, მეტ საქმედ მიაჩნია,—გაზეთებისა და წიგნების კითხვა რა ჩვენი საქმეაო,—ამბობენ ისინი. თვითონ მწარმოებელნიც სწორეთ ასე უცქერიან წარმოების მეცნიერული ნიადაგზე დაყენებას. მაინც-და-მაინც ჩვენი შეხედულობა საფუფუნე ნივთებზე არ იქნება შემცდარი, თუ აღვიარებთ, რომ ამ ნივთებით სარგებლობს მხოლოთ მცხოვრებთა უმცირესობა. სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არ მისდევს გაზეთის კითხვას და საპნის ხმარებას, იქ საპნის მკეთებელნი და ასოთ ამწყობნი მუშაობენ მხოლოთ უმცირესობისათვის, ასე რომ თავიანთი საკუთარი ნაწარმოებიდან თვითონ თითქმის არაფერს ხმაროობენ.

ამ გვარათ: მუშათა მომეტებული ნაწილი რომ თავის შრომას საფუფუნე საგნების შომზადებას არ ანდომებდეს, მაშინ იმათი შრომა მოხმარდებოდა ისეთი საგნების წარმოებას, რომელნიც ყველასათვის საჭიროა, ხოლო რადგანაც ახლანდელი მაშინების წყალობით ადამიანის შრომა ფრიად ნაყოფიერი შეიქნა, ე. ი. სულ ცოტა ხანში აღარებელ უსაჭიროეს საგნებს ამზადებს, ამიტომ ამ შრომის ნაყოფი

ეყოფოდა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყველა ადამიანებს, ცხოვრება ყველასათვის გაადვილდებოდა და განკარგდებოდა, თვითეულ წევრს საზოგადოებისას დაურჩებოდა მეტი თავისუფალი დრო, რომელიც მისცემდა მას საშუალებას შეესწავლა სხვა-და-სხვა მეცნიერება—ხელოვნება, განევითარებია თავისი გონება და გამხდარიყო სრული ადამიანი.

III.

საქონლის ღირებულება

ჩვენს დროში, როდესაც ყველა ყიდის თავის შრომას (ანუ ნაწარმოებს, თუ საკუთარ სახელოსნოში მუშაობს) და ღებულ ფულით ყიდულობს ყველაფერს, რაც კი რამ სჭირია, მუდამ იბადება კითხვა: რა ღირს ესა თუ ის საქონელ? ვაფასებთ აგრეთვე ახალ აღმოჩენილ რამეს, ვამბობთ, რამდენათ ძვირფასია მეგობრობა, ახალი ამბის გაგება, რაიმე სამსახურის გაწევა, ვაფასებთ ჯანის სიმთელეს და სიცოცხლეს. სიტყვას „ღირებულება“ ჩვენ ვხმაროობთ თითქმის ყოველ წამს, ამიტომ ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა ვიცოდეთ—თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა.

უნდა ფილოსოფოსი იყო, რომ შეიგნო

ყოველივე ის, რასაც შენ გარშემო ყოველ-
დღე ხედავო,—სთქვა საფრანგეთის გამოჩე-
ნილმა ფილოსოფოსმა რუსსომ. მართლაც-და
ყველაზე ძნელი გასაგები უფრო ის არის, რა-
საც ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ, ეს იმიტომ,
რომ ადამიანის თვალი ეჩვევა ასეთ მოვლე-
ნათა ცქერას და ყურადღებას აღარ აქცევს
მათ.

თანამედროვე საზოგადოების სიმდიდრეს
შეადგენს აუარებელი საქონელი. ავხსნათ ჯერ
ისა, თუ რაზეა დამოკიდებული საქონლის ღირ-
ებულება.

თუ ჩვენა გვაქვს რაიმე ნივთი, იმით ორ-
ნაირად შეგვიძლია ვისარგებლოთ. ერთი მხრით,
შეგვიძლია ჩვენვე მოვიხმაროთ იგი, მეორე
მხრით,—გავცვალოთ სხვა ნივთზე, ე. ი. ამ
ნივთის საშვალებით შევიძინოთ სხვა. პირველ
შემთხვევაში ნივთის მოხმარება იქნება ბუნებ-
რივი, ხოლო მეორე შემთხვევაში—არა ბუნებ-
რივი; მაგალითად, ფეხსაცმელის ბუნებრივი
დანიშნულება ის არის, რომ ჩავიცვათ ფეხზე;
ხოლო თუ ფეხსაცმელს ვცვლით სხვა ნივთზე,
ეს მისი ბუნებრივი დანიშნულების წინააღმდე-
გია, დარღვევაა.

ასეთი ორ-გვარი ღირებულება: სახმარი
და გასაცვლელი—შეამჩნია საგანში 2200
წლის წინეთ საბერძნეთის ფილოსოფოსმა

ვრისცოცხლეშა. მაგრამ იმ დროს ნაწარმოების მომეტებული ნაწილი უნდებოდა თვითონ მწარმოებელთვე და იყიდებოდა მხოლოდ უმცირესი ნაწილი, რომელიც არ შეადგენდა მწარმოებელთა საჭიროებას. ჩვენს დროში კი ნაწარმოების უმთავრესი დანიშნულება არის გაყიდვა. ასეთი ხასიათის წარმოებას, ე. ი. როდესაც, ნაწარმოები უმთავრესათ ბაზარში გადის გასაცვლელად, ჰქვია კაპიტალისტური. ყოველი გასაცვლელად მომზადებული საგანი უნდა ვისთვისმე საჭიროებას შეადგენდეს, უნდა ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. თქმა არ უნდა, რომ ისეთ ნივთში, რომელიც არავისთვის საჭირო არ არის, არავინ გაიღებს ფულს. ამის გამო საქონელს უსათუოდ უნდა ჰქონდეს სახმარი ღირებულება. მხოლოთ სასარგებლო ნივთი შეიძლება გახდეს საქონლად, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ, რასაც სახმარი ღირებულება აქვს, ყველაფერს კი ვერ ვუწოდებთ საქონელს. სინათლე, ჰაერი, მზის სხივები, წყალი მდინარეში, — ყველა ეს საგნები შეადგენენ ადამიანისთვის საჭირო ნივთებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს საქონელს. ეს საგნები ისე მრავლათ იშოვება ბუნებაში, რომ მათ მოსაპოებლად ადამიანს არავითარი შრომა არა სჭირდება. მაგრამ თუ წყალს თავს მოვუყრით

და არხებით ქალაქში გამოვიყვანთ, ე. ი თუ მის გამოყვანაში დავხარჯავთ შრომას, ამ შემთხვევაში წყალს ჩვენთვის ექნება გასაცვლელი ღირებულება, იმის გამო, რომ მის გამოყვანაზე დაიხარჯა ადამიანის შრომა; წყლის სახმარ ღირებულებას შეუერთდა გასაცვლელი ღირებულება და წყალი გადაიქცა საქონლად. მაშასადამე, მხოლოთ ნაყოფიერ შრომას შესძლებია საგნებისათვის ღირებულების *) მინიჭება, და, სადაც ადამიანის შრომა არ დახარჯულა, იქ არც გასაცვლელი ღირებულება იქნება.

ამის ასახსნელად ავიღოთ სულ უბრალო მაგალითი, ე. ი. ფულებს თავი დავანებოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ერთი საქონელი მეორეზე იცვლება პირდაპირ, ფულის უშუამავლოთ. ფეიქარმა მოქსოვა 20 არშინი ტილო, რომელიც მისთვის არაა საჭირო; მკერვალმა შეკერა ერთი ხელი ტანისამოსი, რომელსაც აგრეთვე თვითონ არ საჭიროებს. ფეიქრისთვის ტანისამოსია საჭირო და მკერვალისათვის ტილო, ამიტომ ესენი გასცვლიან თავიანთ ნაწარმოებს პირდაპირ, თუ 20 არშინი ტილოს ღირებულება ეთანასწორება ერთი ხელი

---

*) ამის დაბლა ცალკე ხმარებული სიტყვა „ღირებულება“ აღნიშნავს გასაცვლელ ღირებულებას.

ტანისამოსის ღირებულებას. ფეიქარი განაგრძობს მუშაობას და სცვლის ტილოს სხვა-და-სხვა საქონელზე; მაგალითად, ის იძენს 20 არშინი ტილოთი ერთ სტოლს, 100 გირვანქა პურს, 40 ტომარა ნახშირს და, სხვათა შორის, წიგნს. ყოველ გაცვლის დროს გასაცვლელი ღირებულებანი ერთმანეთს ეთანასწორებიან, მაშასადამე, 20 არშინი ტილოს ღირებულება ეთანასწორება ერთი ხელი ტანისამოსის ღირებულებას, ერთი სტოლისას, 100 გირვანქა პურისას, 40 ტომარა ნახშირისას და, სხვათა შორის, წიგნის ღირებულებას. აქედან სდგება შემდეგი ანგარიში.

20	არშინი	ტილო	ღირს	იმდენი,	რამდენიც	1 ხელი ტანთსაცმ.
20	»	»	»	»	»	1 სტოლი.
20	»	»	»	»	»	100 გირ. პური.
20	»	»	»	»	»	40 ტომ. ნახშირი
20	»	»	»	»	»	1 წიგნი.

ყველა ეს საგნები აკმაყოფილებენ ადამიანთა სხვა-და-სხვა გვარ მოთხოვნილებას. მართალია, ამ საგნების დანიშნულება და ის ნივთიერება, რისგანაც მათ აკეთებენ, სხვა-და-სხვა გვარია, მაგრამ ამის-და მიუხედავათ ყველა ეს ნივთები წარმოადგენენ ადამიანის შრომას, განხორციელებულს იმ ნივთიერებაში, რომელსაც ბუნება აწვდის ადამიანს. ამ საგანთა სხვა-და-სხვაობა იწვევს გაცვლას, რადგანაც ტანისამოსს არავინ არ გასცვლის ტანისამოსზე, ტი-

ლოს—ტილოზე; იცვლება ერთმანეთზე მხოლოდ სხვა-და-სხვა გვარი ნივთები. ვანვიხილოთ საქონელი დაახლოებით და ვნახავთ, რომ ტილოში განხორციელებულია შრომა ფეიქრისა, რომელმაც მიწის მომუშავისაგან მომზადებული სელი გარდაჰქმნა ნართად. ტანისამოსში შეერთებულია შრომა ფეიქრისა, მკერვალისა და აგრეთვე მწყემსისა, რომელმაც ფეიქარს მატყლი მოუმზადა; სტოლში შეერთებულია შრომა ხის მომჭრელისა, მხერხავისა და დურგლისა; აგრეთვე პურშიაც ჩვენა ვნახავთ მეპურისა, მეწისქვილისა და მიწის მხვნელის შრომას, ნახშირში განხორციელებულია მენახშირის შრომა; წიგნში—დამწერისა, ქაღალდის მკეთებელ მუშებისა, ასოთ-ამწყობისა და მკაზმავისა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებნი ძალიან განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან: ერთი შეიცავს დურგლის შრომას, მეორე—მენახშირისას, მესამე—მწერლისას და სხვა. მათ შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ყველას გაკეთება ერთნაირად მოითხოვს ადამიანის მხრივ ძალას ანუ შრომას. რაც უფრო უბრალო და ადვილია საქმე, მით უფრო ნაკლები შრომა და დრო სჭირდება მის შესწავლას, და რაც უფრო ძნელია, მით უფრო მეტი.

თუ ჩვენ დავუბრუნდებით იმ დროს, როდესაც მიწის მხვნელი თვითონ ფქვავდა ხორბალს

ხელსაფქვავზე და პურსაც თვითონ აცხობდა საკუთარ ფქვილისას, ვნახავთ, რომ ნართსაც სახლში ამზადებდენ და არა ფაბრიკაში, აგრეთვე ტანისამოსსაც სახლში ჰკერავდენ, ამიტომ იმ დროს ერთი და იგივე კაცი მიწასაც ხნავდა, მეწისქვილობასაც ეწევოდა და პურის მცხობლობასაც.

ერთი და იგივე კაცი ასრულებდა პირველად მიწის მომუშავის საქმეს, მერე ფეიქრისას და ბოლოს მკერვლისას. იგივე კაცი სჭრიდა ტყეში ხეებს და იშენებდა სახლს. მაშასადამე, ის ერთსა და იმავე დროს იყო ხეების მჭრელიც, ხუროც და დურგალიც. ერთი სიტყვით, ერთი და იგივე კაცი ასრულებდა მრავალ-გვარს საქმეს,— ისეთ საქმეებს, რომლებიც დღეს ერთმანეთს ალარაფრით წააგავს. ყველა ამ სხვა-და-სხვა გვარ საქმეში იხარჯება ერთისა და იმავე კაცის შრომა, რომელიც ცხადათ გვიჩვენებს, რომ საგანთა გარეგან სხვა-და-სხვაობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მათ საერთო მხარესთან ე. ი. შრომასთან.

ყველა ზემოთ ნაჩვენებ საქონელში: ტილოში, ტანსაცმელში, სტოლში—შედის ერთისა და იმავე ადამიანის შრომა. მათ შორის განსხვავება მხოლოთ შრომის რაოდენობაზეა დამოკიდებული,—იმ შრომისა, რომელიც ერთგვარათ აბის განხორციელებული ყოველ მათგან-

ში. სტოლის გაკეთებაზე შეიძლება 20-ჯერ მეტი შრომა დაიხარჯოს, ვიდრე ერთ არშინ ტილოს მომზადებაზე, აქედან 20 არშინ ტილოს მომზადებას მოუნდება 20-ჯერ მეტი შრომა ვიდრე ერთ არშინს და სხ. თუ მე ვამბობ, რომ 20 არშინი ტილო ღირს იმდენი, რამდენიც ერთი სტოლი, ეს იმას ნიშნავს, რომ სტოლის გასაკეთებლად იმდენივე შრომაა საჭირო, რამდენიც 20 არშინ ტილოს მოსამზადებლად *). აქ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, რომ დურგლის მუშაობა არა ჰგავს ფეიქრისას: ჩვენ ვიცით, რომ ეს ორივე საქმე ერთნაირათ მოითხოვს ადამიანის ძალღონეს და ამიტომ ვადარებთ ერთმანეთს ადამიანის შრომით მომზადებულ საგნებს.

გამოდის, რომ საფუძველი გასაცვლელ ღირებულებისა, რომელიც აქვს ყველა საქონელს, ყოფილა ადამიანის შრომა. საქონელს აქვს არა მარტო ღირებულება საზოგადოთ, არამედ უწყებული, სრულებით განსაზღვრული გასაცვლელი ღირებულებაც. ცნობილია, რომ გასაცვლელი ღირებულება ერთი რომელიმე

*) მოგეხსენებათ, რომ შედარება შეიძლება მხოლოთ ერთ-გვარი საგნებისა, და თუ ჩვენ სხვა-და-სხვა გვარ საგნებს ვადარებთ ერთმანეთს, როგორც ტილო და წიგნებია, აქ საზეში გვაქვს მხოლოთ მათი საერთო მხარე, ე. ი. მათში განხორციელებულ შრომის რაოდენობა.

საქონლისა, შეიძლება, მეტი ან ნაკლები იყოს, ვიდრე მეორე საქონლისა, მაგრამ, რადგანაც გასაცვლელი ღირებულების საზომს შეადგენს შრომა, ამიტომ საქონლის ერთმანეთთან შედარებისა და ღირებულებათა მეტ-ნაკლებობის დროს უნდა სახეში ვიქონიოთ მათ გაკეთებაზე დახარჯულ შრომის რაოდენობა. ახლა გავიგოთ, რით იზომება შრომის რაოდენობა? შრომა შეიძლება გავზომოთ იმ დროის რაოდენობით, რომელიც მოუნდა რაიმე ნივთის მომზადებას; მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რამდენი საათი მოუნდა ფეიქარი ტილოს მოქსოვას და მკერვალი ტანსაცმელის შეკერვას. ფეიქრის მუშაობა ყოველ შემთხვევაში განსხვავდება მკერვალის მუშაობისაგან; მიწის მუშაობის შესწავლა უფრო ადვილია და ცოტა დროსაც მოითხოვს, ვიდრე იმისა, რასაც აკეთებს მეცნიერი, მსწავლული. რომ ფეიქარი ან დურგალი გახდე, უნდა რამდენიმე დრო მოანდომო ხელობის შესწავლას. აქედან ცხადათა სჩანს, რომ დურგლის და ფეიქრის ყოველ საათის შრომაში შედის ნაწილი იმ შრომისა, რომელიც მათ მოანდომეს ხელობის შესწავლას; მაშასადამე, დურგლის ერთი საათის შრომა უფრო რთულია, ვიდრე ერთი საათისავე შრომა იმ უბრალო მუშისა, რომელსაც არავითარი ხელობა არ

შეუსწავლია. ასეთ განსხვავებას უფრო ცხადათ გვიჩვენებს მეცნიერის შრომა. მეცნიერმა ბევრი წლები მოანდომა საზოგადო სწავლა-ცოდნის შეძენას, შემდეგ ორი-სამი წელიწადი კიდევ დასჭირდა საგნების სპეციალურათ შესწავლისათვის, რომ რაიმე წიგნი დაეწერა, ესე რომ ამ წიგნის დაწერაში შედის ნაწილი იმ შრომისა, რომელიც დასჭირდა მწერალს ჯერ საზოგადო სწავლის მისაღებად და მერე საგნის სპეციალურათ შესწავლისათვის, ამის გამო მეცნიერის ერთი საათის შრომა ეთანასწორება უბრალო მუშის ათი საათის შრომას.

მკითხველის ყურადღებას ახლა ჩვენ მივაქცევთ რთულ შრომას და, სხვათა შორის;— იმას, თუ ასეთი შრომა რით განსხვავდება უბრალო ანუ მარტივი შრომისაგან. შრომა, რომლის შესრულება არ მოითხოვს კაცისაგან არავითარ მომზადებას ანუ ხელობის ცოდნას, იწოდება **უბრალო მარტივ შრომად**; სხვა ყოველ გვარი შრომა-კი, რომელიც მოითხოვს ცოდნა-მომზადებას, არის **უაღრესი ანუ რთული შრომა.** რთული შრომა ერთსა და იმავე დროს ჰქმნის მეტ გასაცვლელ ღირებულებას, ვიდრე უბრალო, ანუ მარტივი შრომა. ავხსნათ ეს მაგალითით.

წარმოვიდგინოთ რომ მეცნიერმა რამდენსამე უნაყოფო ცდას სამი წელიწადი მოა-

ნდომა და მხოლოთ ამდენი შრომის შემდეგ რაიმე იარაღი გამოიგონა. აქ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ იარაღის ღირებულება ეთანასწორება სამი წლის შრომას. თუ ჩილინგრის (სლესრის) თანაშემწე სამი წელიწადი უნდება ხელობის შესწავლას, რომ შემდეგ კლიტე გააკეთოს ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამასაც შეეძლოს თავის გაკეთებულ კლიტეს სამი წლის ნამუშევარი დაარქვას; არ შეუძლია იმიტომ, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეში გააკეთებს არა მარტო ერთ კლიტეს, არამედ რამდენიმეს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენმა ჩილინგარმა სამი წლის შემდეგ ისე შეისწავლა ხელობა, რომ ერთი კლიტის გაკეთებას ნახევარი დღე (ექვსი საათი) უნდება. ამ ექვს საათში გაკეთებული კლიტე არ შეიცავს ხელობის შესწავლაზე დახარჯულ სამი წლის შრომას; ყოველი საათი ჩილინგრის შრომისა შეიცავს მხოლოთ ნაწილს იმ სამი წლის შრომისას, რომელიც ხელობის შესწავლისათვის დასჭირდა ჩილინგარს. ძნელია განვსაზღვროთ რაოდენობა იმ შრომისა, რომელიც გადავიდა თვითეულ კლიტეში ხელობის შესწავლაზე დახარჯულ შრომიდან, — ძნელია იმიტომ, რომ არ ვიცით, მთელ თავის სიცოცხლეში რამდენ კლიტეს გააკეთებს ჩვენი ჩილინგარი; ჩვენ მხოლოთ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ კლიტეში შედის რამდე

ნიმე ნაწილი იმ შრომისა, რომელიც ჩილინ-
გარმა ხელობის შესწავლას მოანდომა. წარმო-
ვიდგინოთ, რომ ექვს საათში, რომელიც უნ-
დება კლიტის მომზადებას, შედის კიდევ რამ-
დენიმე ნაწილი ხელობის შესწავლაზე დახარ-
ჯულ შრომისა, მაგალითად, ერთი საათი. ასე
რომ ხელოსნის ექვსი საათის შრომა უდრის
უბრალო მუშის შვიდი საათის შრომას, რადგა-
ნაც ჰირველის ექვსი საათის შრომას ემატება
კიდევ ერთი საათი ხელობის შესწავლაზე და-
ხარჯულ დროდან. ამ ნაირათ ყოველ-გვარი
შრომა (რთული და მარტივი) შეგვიძლია შე-
ვუფარდოთ საზოგადო უბრალო მუშის შრო-
მას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს
საზომავ არშინს ყოველ-გვარ შრომისას. რაო-
დენობა ამ საზოგადო, უბრალო შრომისა,
რომელიც იხარჯება ამა თუ იმ საქონლის მო-
მზადებაზე, ხრულიათ საზღვრავს საქონლის
გასაცვლელ ღირებულებას; თვითონ შრომის
რაოდენობა კი იზომება **სამუშაო დროს რაოდე-
ნობით.**

წარმოვიდგინოთ, რომ ფეიქარმა ნახევა-
რზე მეტი სამუშაო დროსი დასვენებას მოან-
დომა, რის გამოც 20 არშინი ტილოს მოქსო-
ვას ორჯელ მეტი სამუშაო დრო მოუნდა.
ფეიქარმა რომ ორი ხელი ტანისამოსი მოს-
თხოვოს მკერვალს 20 არშინ ტილოში, უე-

ჭველია, შემდეგს პასუხს მიიღებს უკანასკნელისაგან: „ჩემთვის სულ ერთია, რამდენი საათიც მოუნდი შენ 20 არშინი ტილოს მოქსოვას; მე ვიცი მხოლოთ ის, რომ ჩვეულებრივი და ბეჯითი შრომით 30 არშინი ტილოს მომზადება შეიძლება ამა-და-ამ დროს განმავლობაში, რის გამოც ეგ შენი ნამუშევარი ღირს ამ საზოგადო დროსთან შედარებით და არა იმ დროსთან, რომელიც შენ დასვენებაში გაატარე. შენ თუ ორჯელ მეტი დრო მოანდომე ამ ტილოს მოქსოვას სიზარმაცის გამო, ეგ რა ჩემი ბრალია, ჩემთვის მნიშვნელობა მხოლოთ საშუალო საზოგადო შრომას აქვს და არა დასვენებაში გატარებულ დროს“.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენმა ფეიქარმა უფრო ბეჯითათ იმუშავა და 20 არშინი ტილო წინანდელზე ნაკლებ დროში მოქსოვა. იბადება კითხვა: ამ ნამუშევარში ნაკლები დროა დახარჯული საზოგადო შრომასთან შედარებით თუ არა? ფეიქარმა უფრო იაფათ უნდა გაყიდოს თავისი ტილო თუ არა? ფეიქარი ამნაირად გასჯის: როდესაც მე ზარმაცობა დავიწყე და მძიმეთ ვიმუშავე, ეს სამუშაო დრო არავინ მიიღო სახეში, რადგანაც ამ შემთხვევაში მე ჩვეულებრივზე მეტი დრო მოვანდომე 20 არშინი ტილოს მომზადებას, და მიპასუხეს: ამ ნაჭერი ტილოს მოქსოვა უფრო ნაკლებ დრო-

ში შეიძლებაო და ამის გამო მომცეს უფრო ნაკლები ფასი, ვიდრე მე ვთხოვდი. ახლა-კი, როდესაც ბეჯათათ და დაუსვენებლათ ვიმუშავე და ჩვეულებრივზე ნაკლები დრო მოვანდომე 20 არშინ ტილოს, სრული უფლება მაქვს მოვითხოვო სრული ფასი, ე. ი. ფასი, იმ საზოგადო სამუშაო დროსი, რომელსაც ანდომებენ საზოგადოთ სხვა მუშები 20 არშინი ტილოს მოქსოვას.

ჩვენს ფეიქარს სრული ნება აქვს ილაპარაკოს ამ ნაირათ, რადგანაც აქ არ არის ლაპარაკი იმ შრომის რაოდენობაზე, რომელიც მოანდომა ამა თუ იმ მუშამ რაიმე ნივთის მომზადებას. საქონლის ღირებულებას საზღვრავს არა რომელიმე კერძო პირის შრომა, არამედ გამოცდილი ბეჯითი მუშის საზოგადოთ საჭირო დრო. მაშასადამე, საქმე კერძო შემთხვევებზე არა ყოფილა დამოკიდებული და არც კერძო პირების შრომაზე, არამედ საზოგადო სამუშაო დრო რომელიც საჭიროა ამა თუ იმ საგნის მოსამზადებლად, საზღვრავს საქონლის ღირებულებას.

სხვათა შორის ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ სამუშავო დროს რაოდენობა, რომელიც საჭიროა სტოლისა, ტილოსა ტანთსაცმელისა და სხვა-გვარ საქონელთა მოსამზადებლად, დამოკიდებულია არა

მარტო მუშის გამოცდილება-ბეჯითობაზე, არა-
მედ შრომის იარაღთა ავ-კარგიანობაზედაც.
მაგალითად, მაშინებზე და სხ. მაშინები-კი
ყველა მუშისაგან ერთ-ნაირათ ითხოვს მეცა-
დინეობას, ასე რომ აქ კერძო პირის სიზარ-
მაცეს, ან გამოცდილებას ადგილი აღარა აქვს.

გლეხი, რომელიც ხელის ხერხით ხერხავს
ხეს, უფრო მეტ დროს ანდომებს საქმეს, ვიდ-
რე დურგალი სახერხავი მაშინით იმავე ხის გა-
ხერხვას, რის გამოც გლეხი უფრო დიდ ხანს
მოუნდება სტოლის გაკეთებას, ვიდრე მაში-
ნებით მომუშავე; სოფლელი ფეიქარი უფრო
მეტ დროს ანდომებდა ტილოს მთქსოვას,
ვიდრე ფაბრიკაში მომუშავე ფეიქარი; წიგნე-
ბის მბეჭდავი ხელით საბეჭდავზე უფრო დიდ
ხანს მოუნდება დაბეჭდვას, ვიდრე მაშინაზე
მომუშავე მბეჭდავი და სხ.

აქედგან ასეთი დასკვნა შეგვიძლია გამო-
ვიყვანოთ: რაც უფრო განვითარებულია შრო-
მის იარაღები, მით უფრო ნაყოფიერია ადამი-
ანის შრომა, ე. ი. თვითეულ ნივთის მომზა-
დებას უფრო ნაკლები შრომა დასჭირდება. ეი
სწორეთ ამ დროს ჰქვია **საზოგადოთ საჭირო
სამუშაო დრო**, რომელიც უნდება რომელიმე
საქონლის მომზადებას ასეთის გაუმჯობესებულ
იარაღებით, და როდესაც გვინდა განვსაზღვ-
როთ საქონლის ღირებულება, სახეში უნდა

ვიქონიოთ სწორეთ ასეთი დრო, ე. ი. საშუალო მუშის შრომა გაუმჯობესებულ იარაღებით; იმ დღიდან, რა დღიდანაც უფრო გაუმჯობესდება ჩვენი დღევანდელი შრომის იარაღები და როცა ეს იარაღები წარმოებაში ძველ იარაღთა ადგილს დაიჭერენ, წინანდელი საზოგადოთ საჭირო სამუშაო დროც დაჰკარგავს მნიშვნელობას, ე. ი. იმ ნივთების გაკეთებას, რომლებსაც წინეთ აკეთებდენ, ახლა წინანდელზე ნაკლები დრო დასჭირდება, და ამიტომ მათი ღირებულებაც დაიწევს. ასე რომ ახლა საზოგადოთ საჭირო სამუშაო დრო სხვა იქნება.

წარმოვიდგინოთ, რომ საფეიქრო მაშინაქსოვს საათში იმდენ ტილოს, რამდენსაც უბრალო ფეიქარი თავის დაზგაზე ძლივს მოამზადებს ერთ დღეში. ამ შემთხვევაში ფეიქარს უწოდებენ ზარმაცს და მის ნაშრომს იმავე ფასს დაადებენ, რასაც მაშინაზე ერთ საათში მოქსოვილ ტილოს. რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ საზოგადოებაში მეფობენ წარმოების ისეთი პირობანი, რომელნიც გაუმჯობესებულ შრომის იარაღთა შემწეობით (მაშინებით) მოითხოვენ მხოლოთ ერთი საათის შრომას იმ ნივთების მომზადებაზე, რომლებსაც ხელით სამუშაო დაზგაზე მთელი დღე უნდა ფეიქარი.

რადგანაც შრომის იარაღები, მაშინები და სხ. მუდამ განვითარება-გაუმჯობესობაშია, ამის გამო ყოველი საქონლის გასაცვლელ ღირებულების რაოდენობაც იცვლება, ძირს იწევს. ეს იმიტომ, რომ ყოველი საქონლის გასაცვლელი ღირებულება განისაზღვრება საზოგადოთ საჭირო საშუალო საშუშაო დროს რაოდენობით და ეს დრო-კი მცირდება იარაღთა გაუმჯობესობის გამო. კიდევ გავიმეორებთ, რომ საქონლის გასაცვლელ ღირებულების რაოდენობას საზღვრავს არა ის სამუშაო დრო, რომელიც მოანდომა ამა თუ იმ კერძო პირმა რომელიმე ნივთის მომზადებას, არამედ საზოგადო საშუშაო დრო გაუმჯობესებულ იარაღებით. აქედან ცხადათ ვხედავთ, რომ საზოგადო სამუშაო დროა ის დრო, რომელიც უნდება ნივთის მომზადებას საუკეთესო შრომის იარაღებით და სრულიათ საზღვრავს საქონლის გასაცვლელ ღირებულებას.

არის კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენა, ყოველი საქონელი უსათუოდ აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას. ცხოვრებაში გამოუსადეგარ ნივთის შექენას არავინ მოისურვებს და, მაშასადამე, ასეთი ნივთი ვერც საქონელი გახდება. შრომა, დახარჯული ცხოვრებაში გამოუსადეგარ ნივთის მომზადებაზე, ჩაითვლება უსარგებლო და ტყუილათ დაკა-

რგულ შრომად; ამ გვარი შრომა არ იქნება საზოგადოებისთვის საჭირო შრომა, რის გამოც მისგან მომზადებულ ნივთს არავითარი გასაცვლელი ღირებულება არ ექნება,

ახლა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ისა, რომ მარტო ისეთი საგნები კი არ არსებობენ, რომლებიც არავისთვის გამოსადეგნი არ არიან, არამედ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ყველასათვის გამოსადეგი და სასარგებლო ნივთები რჩება გამოუსადეგარ ნივთებად, რადგან ამათზე მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია, ე. ი. როდესაც იმაზე მეტი ნივთები მზადდება, რასაც საზოგადოება საჭიროებს.

მაგალითად, სტოლი ხომ ფრიად საჭირო და სასარგებლო ავეჯია ყოველ ოჯახში, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ათას ოჯახს უნდა ქონდეს ორი, სამი, თუნდა ოთხი სტოლით მეტი იმაზე, რაც აქვთ ახლა. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ დურგლებმა მოამზადეს იმდენი სტოლი, რომ თვითეულ ოჯახზე მოვიდა 50 სტოლით მეტი იმაზე, რაც უკვე აქვთ. ცხადია, რომ არც ერთი ოჯახი მუქთათაც-კი არ წაიღებს ამდენ სტოლს, თორემ ყიდვას ვინღა ამბობს! რა უნდა გვეპასუხნა დურგლებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასეთი სიტყვებით მოგვმართავდენ: ,,ჩვენ ამ სტოლების გაკეთებაზე ვიმუშავეთ საუკეთესო იარაღებით და მა-

სთან ბეჯითათ, ამის გამო ჩვენ გვსურს საზოგადოებამ იყიდოს ჩვენი სტოლები და მოგვცეს ნამდვილი ფასი". პასუხი, თქმა არ უნდა, ასეთი იქნებოდა: ,,თქვენ რომ ყოველი ოჯახისათვის მოგემზადებიათ ორი ან სამი სტოლი, მაშინ სხვა იქნებოდა, თქვენი სტოლები გაუყიდავი არ დარჩებოდა და მასთან დიდ მადლობასაც მიიღებდით ჩვენგან. სამუშაო დრო, რომელიც მოუნდებოდა ამ სტოლების მომზადებას, ჩაითვლებოდა საზოგადოებისთვის საჭირო და, მაშასადამე სასარგებლო დროდ. ახლა-კი, აბა, რა გიყოთ, სად წავიღოთ ეს ამდენი სტოლი? ადგილსაც ვერ ვუშოვით, რომ დავაწყოთ, თორემ გამოყენებას ვინლა ჩივის; ყოველ 50 სტოლში 47 მეტია, ე. ი. არავისთვის არაა საჭირო. რად დაკარგეთ ტყუილათ, უსარგებლოთ როგორც თქვენთვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, ამოდენა სამუშაო დრო?.."

ასეთი პასუხის შემდეგ უეჭველია დურგლები დაგვეთანხმებოდენ, რომ მათ მართლაც ტყუილ-უბრალოთ დაკარგეს ამოდენა შრომა. მართლაც-და სულ ტყუილ-უბრალოთ დაიკარგა ყველა ოჯახისათვის 47 სტოლის მომზადებაზე დახარჯული სამუშაო დრო და სარგებლობა მოიტანა მხოლოთ სამ სტოლზე დახარჯულმა შრომამ. უსარგებლო შრომა არ ითვლება საზოგადოებისათვის საჭირო შრომად,

რის გამოც ასეთი შრომის ნაყოფს არა აქვს არავითარი გასაცვლელი ღირებულება.

წარმოვიდგინოთ, რომ 50 სტოლის მომზადებას დასჭირდა 50 სამუშაო დღე, ე. ი. ყოველი ოჯახისათვის, 47 დღე უსარგებლოთ დაიკარგა 47 უსარგებლო სტოლის გაკეთებაზე. ამ 50 სამუშაო დღეში მხოლოთ 3 დღე ითვლება საზოგადოებისთვის საჭირო სამუშაო დროდ, დანარჩენი 47 დღე-კი საზოგადოებისათვის საჭირო არ არის.

რადგანაც გასაცვლელ ღირებულებას ჰქმნის მხოლოდ საზოგადოებისათვის საჭირო სამუშაო დრო, ამიტომ 50 სტოლის ღირებულება ეთანასწორება 3 სტოლის ღირებულებას. წარმოვიდგინოთ, რომ დურგლებმა 50 სტოლიდან 47 დასწვეს; დანარჩენ 3 სტოლში მიიღებენ იმდენს, რამდენსაც 50-ში. გამოდის, რომ 50 სტოლი ეთანასწორება 3 დღის ნაშრომს, ასე რომ ერთი სტოლი$=^{3}/_{50}$ დღის ნაშრომს.

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან დავინახეთ, საქონლის გასაცვლელი ღირებულება არ ყოფილა დამოკიდებული მარტო საზოგადოთ საჭირო დროზე, რომელიც სჭირდება ნივთის გაკეთებას გაუმჯობესებულ იარაღებით. აქ, სხვათა შორის, საყურადღებოა ისიც, შეადგენს თუ არა საზოგადოებისთვის აუცი-

ლებელ საჭიროებას სამუშაო დრო, დახარჯული ამა თუ იმ ნივთის გაკეთებაზე? ე. ი. ნივთს, მომზადებულს ამ თუ იმ შრომით, საჭიროებს თუ არა საზოგადოება? და თუ სამუშაო დრო დაიხარჯა იმაზე მეტი, რაც საჭიროა საზოგადოებისთვის, ე. ი. თუ მომზადდა იმაზე მეტი ნივთები, რასაც საზოგადოება მოითხოვს, აქ შრომის შედეგში გვრჩება უსარგებლო, მეტი ნივთები.

რაც ვთქვით საქონლის ღირებულების შესახებ, იგივე ითქმის სხვა-და-სხვა სამსახურზედაც. რაიმე სამსახურის შესრულების ღირებულებაც დამოკიდებულია საზოგადოებისათვის საჭირო დროზე. უნდა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ სამსახურის შესრულებას ნაკლები დრო და შრომა სჭირდება და თუ ასეთი სამსახური ძვირათ ფასდება, აქ სახეში უნდა ვიქონიოთ ის დრო, რომელიც დასჭირდა ამა თუ იმ პირს საქმის გვარიანათ შესწავლაზე. ამ შემთხვევაში, იმ დროს, რომელიც სჭირდება რაიმე სამსახურის შესრულებას, უნდა მივუმატოთ რამდენიმე ნაწილი საქმის შესწავლაზე ანუ მომზადებაზე დახარჯულ დროსი. ასეთ მოვლენას ვხედავთ, სხვათა შორის, ექიმის სამსახურში. ექიმის ავადმყოფთან მისვლას და წამლის გამოწერას დიდი დრო არა სჭირდება და ეს უკანასკნელი

თუ დიდ ფასს იღებს თავის გასამრჯელოდ, ამ-ის მიზეზი მდგომარეობს იმ დროში, რომელიც მან მოანდომა ექიმობის შესწავლას; ასე რომ ექიმის სამსახურის ღირებულება შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ ნაირათ: ექიმობის შესწავლას სჭირდება 5 წელიწადი, რომ შემდეგ 30 წელიწადი იექიმოს; ამ ნაირათ ყოველ 6 წელს მისი ექიმობისას უნდა მივუმატოთ 1 წელიწადი ექიმობის შესწავლაზე დახარჯული დროდან; რის გამოც ექვსი წლის სამსახურის ღირებულება შეეფარდება უბრალო მუშის 7 წლის ნაშრომს. მთელ ევროპაში რომ მარტო ერთი საექიმო სასწავლებელი იყოს, ექიმობის შესწავლა გაძნელდებოდა, ბევრი დრო დასჭირდებოდა მის შესწავლას და ამის გამო ექიმის სამსახურიც გაციცებით უფრო ძვირათ ეღირებოდა. ისიც-კია, რომ სახელგანთქმული ექიმები ახლაც მეტს იღებენ იმაზე, რაც ეკუთვნით, მაგრამ აქ საგნის იშვიათობა იჩენს თავს, რომელიც საზოგადოთ არღვევს ეკონომიურ ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობას.

IV.

ფული და ფასი.

ჩვენ უკვე ვიცით თუ რაზეა დამოკიდებული საგანთა ღირებულება. მაშასადამე,

როდესაც ვცვლით ორ სხვა-და-სხვა სასარგებლო საგანს ერთი-ერთმანეთზე, მაგალითად, რკინას ტილოზე, გვეცოდინება, თუ რამდენი გირვანქა რკინა შეიძლება მივცეთ 20 არშინ ტილოში. ცხადია, 20 არშინ ტილოში მივცემთ იმდენ გირვანქა რკინას, რამდენი გირვანქაც შეიძლება გაკეთდეს ადამიანის იმ საზოგადო შრომით, რომელიც მოხმარდა 20 არშინი ტილოს მომზადებას.

მაგრამ ის, რაც ცხადია ჩვენთვის დღეს და რაც ადვილათ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ყოველ გაცვლის დროს, სრულიათ გაუგებარი და აუხსნელი იყო ველურებისთვის, რომლებიც შემთხვევით შეხვედრის დროს უცვლიდენ ერთმანეთს თავიანთ ნაწარმოებიდან მეტ ნივთებს. აქ სულ უბრალო შემთხვევაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ სულს პირუტყვს მისცემდა ერთი ერი მეორეს იმ უხეირო იარაღში, რომელსაც საჭიროებდენ ველურები.

ასეთი რაოდენობა დამოკიდებული იყო ან იმაზე, თუ რომელ ტომს რა ეჭირვებოდა მეორე ტომის ნაწარმოებიდან და ან კიდევ იმაზე თუ ვინ უფრო ვის მოატყუებდა და სხვა. მაგრამ ამისდა მიუხედავათ შრომის იარაღები თანდათან განვითარდა და ამან დაბადა ხალხთა შორის შრომის განაწილება. სხვა-

და-სხვა ერებმა მოჰკიდეს ხელი სხვა-და-სხვა გვარ ნივთების მომზადებას. ასეთმა პირობებმა იძულებულ-ჰყო ყველა ერები, რომ მათ გაეცვალათ თავიანთი ნაწარმოები უცხო ერთა ნაწარმოებზე. გაცვლის გახშირების გამო ერთი საგნის რაოდენობა, რომელიც იცვლებოდა მეორე საგნის განსაზღვრულ რაოდენობაზე, თანდათან მუდმივი და ყველასათვის ცხადი შეიქნა. მაგალითად, თემს, რომელიც მხოლოდ პირუტყვების მოშენებას მისდევდა, ხშირათ უნდა გაეცვალა პირუტყვები სხვა-და-სხვა მისთვის საჭირო ნივთებზე. წარმოვიდგინოთ, რომ ერთმა თემმა მეორეს გაუცვალა ერთი სული პირუტყვი 10 საუკეთესო შვილდ-ისარზე, მესამეს ორი სული პირუტყვი 1 კოდ ხორბალზე, მეოთხეს ერთი სული ცხვარი ხუთ წყვილ ქალამანზე და სხ. ამ გვარათ, ამ თემმა და ყველა იმ ხალხმა, რომლებსაც იგი თავის ნაწარმოებს უცვლიდა, დაისწავლეს დროს განმავლობაში ამა თუ იმ საქონლის ღირებულების გამოანგარიშება; შემდეგ ეს საქონელი შეუფარდეს ერთი სული პირუტყვის ღირებულებას და შესდგა ასეთი ანგარიში:

10 შვილდ-ისარი	ღირს	იმდენი	რამდენიც	1	სული პირუტყვი
1 კოდი ხორბალი	„	„	„	1	„ „
5 წყვილი ქალამანი	„	„	„	1	„ „

ამ გვარათ, ყველა საჭირო საგნების ღი-

რებულებას უფარდებდენ ერთი სული პირ-
უტყვის ღირებულებას, რომელიც ითვლებოდა
ყველა სხვა საგნების ღირებულებათა საზომად.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც თვით
თემის შინაგან ცხოვრებაშიაც მოხდა შრომის
განაწილება და ერთმა ნაწილმა მთელი სა-
ზოგადოებისამ მარტო მკერვალობა გაიხადა
შრომის საგნად, მეორემ მეწაღეობა და სხ. ყო-
ველ მათგანს თავის მრავალ-გვარ მოთხოვნი-
ლებათა დასაკმაყოფილებლად ძალა-უნებურათ
უნდა გაეცვალა თავის საკუთარი მარჯვენით
მომზადებული ნივთები სხვა კერძო პირთა ნა-
წარმოებზე. იმ დროს მკერვალს ასეთი ანგარიში
შეეძლო შეედგინა:

20	არშინი ტილო	წარმოადგენს	ღირებულებას	I სერთუკისას
10	გირვანქა ჩაე	„	„	1 „
1	შკაფი	„	„	1 „
2	კოდი ხორბალი	„	„	1 „

მკერვალს მისი სერთუკი ფულის მაგივრო-
ბას უწევდა, რომლითაც ყველაფერს იძენდა.
უეჭველია, ასეთივე მნიშვნელობა ექნებოდა
მეწაღისთვის წაღებს, დურგლისათვის — შკაფს
და სხ.

ცხადია, ვერც ერთი ამ საგანთაგანი ვერ
შეასრულებდა ფულის დანიშნულებას უნაკლუ-
ლოთ; მაგალითად, თუ 10 გირვანქა ჩაიში
მკერვალი 1 სერთუკს აძლევდა, რას იზამდა
იგი იმ შემთხვევაში, როდესაც მარტო 1 გი-

რვანქა ჩაის ყიდვას მოისურვებდა? სერთუკის ნაჭერს ხომ ვერ მისცემდა, რადგანაც დაჭრილი სერთუკი აღარაფრის მაქნისია, და მაშასადამე, აღარაც ღირებულება ექნება. სხვათა შორის, სერთუკის დიდხანს შენახვაც საზარალოა, რადგან მალე ხდება და ღირებულებას ჰკარგავს. ასეთივე დამაბრკოლებელი მიზეზები გადაელობებოდა ხალხს წინ იმ შემთხვევაშიაც, თუ ისინი ფულის დანიშნულებას სხვა საქონელს მიანიჭებდენ და არა ოქროსა და ვერცხლს. ფულად გახდომა მხოლოდ ისეთ საქონელს შეეძლო, რომლის დანაწილება შესაძლებელი იქნებოდა, და ამასთანავე ყოველ ნაწილს შერჩებოდა თავისი განსაზღვრული ღირებულება, ყველა ეს თვისება-კი მხოლოდ ოქროსა ჰქონდა და ამიტომ იწყეს ოქროს ღირებულებასთან შედარება ყოველ-გვარ სხვა საქონლის ღირებულებისა; ამ გვარათ ოქრო შეიქნა საქონელ-ფულად.

თავდაპირველათ ყოველი საგნის ღირებულებას ტყობილობდენ ოქროს განსაზღვრულ წონასთან შედარებით და ასე სჯიდენ: 1 სერთუკი ღირს, მაგალითად, 2 მისხალ ოქროდ, ერთი შკაფი—3 მისხლად და სხვ. ბოლოს, რომ თავიდან აეცილებიათ ოქროს ხშირ-ხშირათ დანაწილება, აწონვა და მასთან წონაში ადვილათ შესაძლებელი მოტყუებაც, დაიწყეს

განსაზღვრული წონის და თვისების ოქროს მოჭრა, ასე რომ, როდესაც ამბობენ: ერთი სერთუკი ღირს 10 მანეთიო, ეს იმასა ნიშნავს, რომ ერთი სერთუკის მომზადებაზე დახარჯულა იმდენი შრომა, რამდენიც საჭიროა ათ მანეთიან ოქროს მოთხრასა და შემუშავებაზე*). ახლა, როდესაც არსებობს საქონელი—ოქრო, ფულად მიღებული, მკერვალი, რომელსაც უნდა გასცვალოს სერთუკი მისთვის სიჭირო საგნებზე, სახელდობრ: პურზე, წაღებზე, წიგნზე და სხ., უეჭველია, აღარ შეუდგება მეპურისა, მეწაღისა, წიგნის გამყიდველისა და სხვების ძებნას, რომლებისათვისაც საჭირო იქნებოდა მისი სერთუკი და ამიტომ გაუცვლიდენ მასში თავიანთ ნაწარმოებს. ახლა მკერვალი ისეთ კაცს ეძებს, რომელიც საჭიროებს მისგან შეკერილ სერთუკს, და იღებს იმდენ ფულს, რამდენიცა ღირს სერთუკი (ჩვენ უკვე ვიცით, რითაც განისაზღვრება საგნის ღირებულება); აღებული ფულით ის ყიდულობს ყველაფერს, რაც.კი საჭიროა მისი ცხოვრებისათვის. ასე რომ მკერვალს ბოლოს თავისი სერთუკის ნაცვლად რჩება 20 გირვა-

*) ჩვენ თუ დღეს საქონელს ვყიდულობთ არა ოქროთი არამედ ქაღალდით, რომელსაც არავითარი ღირებულება არა აქვს, ეს იმატომ რომ სახელმწიფო ხაზინა ამ ქაღალდში იძლევა ოქროს ანუ ვერცხლს.

ნქა პური, ერთი სტოლი, ერთი წყვილი სკამი და წიგნი. ყველა ეს საგნები ერთათ იმდენი ღირს, რამდენიც ერთი სერთუკი, ე. ი. სერთუკის მომზადებაზე დახარჯულა იმდენი შრომა, რამდენიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნივთების გაკეთებაზე*). სხვათა შორის, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რაიმე საგნის გასაცვლელი ღირებულება, თუ ის ფულებში გამოიხატება და არა ჩვეულებრივ საქონელში, იწოდება მის ფასად. ამისგამო, როდესაც მკერვალი სერთუკში იღებს 10 მანეთს, იტყვიან ხოლმე—სერთუკის ფასი 10 მანეთიაო.

V.

კაპიტალი.

როდესაც მკერვალი ყიდის თავის სერთუკს 10 მანეთად და ანაღებ ფულით შკაფს ყიდულობს, ბოლოს და ბოლოს ხელში რჩება საგანი, ღირებულებით მისი სერთუკის

*) უეჭველია იმ შრომის გამოანგარიშების დროს, რომელიც დაიხარჯა სერთუკის მომზადებაზე, სახეში უნდა ვიქონიოთ არა მარტო მკერვალის შრომა, არამედ მიწის მუშის შრომაც, რომელმაც მოიყვანა სელი, შრომა ფეიქრისა, რომელმაც სელის ტილო მოქსოვა და სხვათა შორის უნდა დავუმატოთ შრომა დახარჯული საფეიქრო მაშინების გაკეთებაზე, შრომა ფეიქართან სელის გადმოტანაზე, მკერვალთან ტილოს მოტანაზე და სხ.

თანასწორი, თუ, რასაკვრველია სერთუკის მყიდველმა არ მოატყუა იგი, ან, პირიქით, თუ მკერვალმა არ მოატყუა სერთუკის მყიდველი. ერთათ-ერთი სარგებლობა, რომელსაც ხედავს მკერვალი სერთუკის გაყიდვაში და შკაფის ყიდვაში არის ისა, რომ იგი ყიდის თავისთვის გამოუსადეგარ ნივთს (სერთუკს) და ყიდულობს თავისთვისვე სასარგებლო საქონელს (შკაფს). ამ გვარათ მკერვალი სრულიათ კმაყოფილია ამ ყიდვა-გაყიდვისა, თუნდაც არეფერს გამორჩეს.

ახლა, რას იზამდა ჩვენი მკერვალი, რომ თავისი სერთუკის მყიდველი ვერ ეშოვნა? დურგალი არ მისცემდა შკაფს სერთუკში, თუ ეს უკანასკნელი მისთვის საჭირო არ იქნებოდა, და რასაკვირველია ამავე მიზეზის გამო, არც მეპურე მისცემდა პურს. ისინი მოისურვებდენ თავიანთ საქონელში ნაღდი ფულის აღებას და მკერვალი-კი, თუნდ ათი სერთუკიც ჰქონოდა, შიმშილით მოკვდებოდა. და რომ ფულები არა გვქონდეს, ყოველი ჩვენგანი ადვილათ ჩავარდება ასეთ მდგომარეობაში. ცხადია, რომ ყოველი კაცისთვის აუცილებლათ საჭიროა იქონიოს, რაც შეიძლება, ბლომათ ფული, რომლითაც შეეძლოს ყველაფრის ყიდვა, რაც-კი მოესურვება. ასეთი საჭიროება დღითი-დღე იზრდება იმისდა კვალათ, თუ რამდენათ მატუ-

ლობს ისეთი ნაწარმოების რაოდენობა, რომელიც მზადდება არა მწარმოებლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ გასაცვლელად, რადგანაც ასეთ გარემოებაში ყველა საჭიროებს სხვისი შრომით დამზადებულ ნივთებს.

მაგრამ საიდან შეიძლება ფულის შეძენა? ოქროს, როგორც მოგეხსენებათ, მუშები მადნებში ფხრიან ხანგრძლივი შრომით. მაგრამ, რადგანაც უზარ-მაზარი ოქროს მადნის მთებიც-კი ვერ გააძლებენ მშიერს, ვერ გაათბობენ სიცივისგან დაძრულ-გაყინულს, ამიტომ ოქროს მწარმოებელთ უნდა გასცვალონ ოქრო სხვა პირთა ნაწარმოებზე, მაგალითად: პურზე, ხორბალზე, ტანისამოსზე და სხ. ცხადია, რომ ყოველ ცალ საქონელში ისინი აძლევენ იმდენ ოქროს (მაგალითად, 1 მისხალს), რამდენის შემუშავებაც შეიძლება იმ საზოგადო სამუშაო დროს განმავლობაში, რომელიც დახარჯულია მათგან შესყიდულ საქონლის მომზადებაზე. ამ გვარათ მკერვალი მადნებში მომუშავისაგან იძენს ოქროს და ბადლად აძლევს სერთუკს, ხოლო ოქროთი ის ყიდულობს მეპურისაგან პურს, დურგლისაგან სტოლს და სხ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მკერვალი თავის ნაშრომს თვითონ ასაღებს ანუ ყიდის; ასევე იქცევიან დურგალი და მეპურეც. ეს რომ ყო-

ველთვის ასე ხდებოდეს, ე. ი. თვით მწარმოებლები (ხელოსნები და მუშები) რომ ყიდიდენ საკუთარი შრომით მომზადებულ საქონელს და ფულსაც თვითონ იღებდენ, მაშინ ქვეყანაზე უშრომლათ თავის დარჩენა აღარავის შეეძლებოდა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ცხოვრებაში ეს ასე არ არის: არიან ისეთი პირნი, რომელნიც ძალიან მდიდრათ ცხოვრებენ და არაფერს-კი არ აკეთებენ; ეს იქიდან წარმოსდგება, რომ ამ პირთ ერთხელვე შეუძენიათ როგორღაც ფული და მისი შემწეობით შოულობენ ცხოვრების სახსარს. უკეთესათ განვმარტოთ: ფულით ისინი ყიდულობენ საქონელს და მერე ამ საქონელს ყიდიან სხვაზე მოგებით. ასეთი პირნი ყიდულობენ საქონელს არა თავიანთ კერძო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მოგებისათვის, ე. ი. ცდილობენ აიღონ ამ ნაყიდ საქონელში იმაზე მეტი, რაც თვითონ მიუციათ.

მკერვალი და დურგალი ცვლიან ერთმანეთში თანასწორი ღირებულების საქონელს, ვაჭარი-კი საქონლის გაყიდვის დროს მუდამ მეტს იღებს იმაზე, რაც თვითონ მიუცია. ამ გვარათ, ყიდვა გასასყიდად ნიშნავს: დავაბანდოთ რამდენიმე ფული რაიმე საქონელში იმ მიზნით, რომ ისევ უკან მივიღოთ იგი, მაგრამ ისე-კი, რომ ეს უკან მიღებული ფული იყოს

დაბანდებულზე მეტი. ფული, რომელიც თვით იზრდება ანუ თავის თავს თვითონ ამრავლებს, იწოდება სავაჭრო კაპიტალად (თანხად), ცხადია რომ ფულის ასეთ გადიდებას არ მოსდევს არავითარი ღირებულების შექმნა. მოვიყვანოთ მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ პეტრემ იყიდა ივანესაგან 100 მანეთის ტილო და მიჰყიდა პავლეს 110 მანეთად. სანამ ეს ვაჭრობა მოხდებოდა, პეტრეს ჰქონდა 100 მან. ნაღდი ფული, ივანეს ჰქონდა ტილო 100 მანეთად ღირებული, პავლეს-კი, რომელმაც იყიდა ეს ტილო პეტრესაგან,—110 მანეთი ნაღდი. სამივეს ერთათ ჰქონდათ სულ 310 მან. ღირებულება. ვაჭრობის გათავების შემდეგ პეტრეს ექნება 110 მან., ივანეს 100 მან. და პავლეს ტილო, ღირებული 100 მანეთად. გამოდის, რომ სამივეს ერთათ ისევ 310 მან. ღირებულება აქვთ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 10 მანეთის ღირებულება პავლეს ჯიბიდან გადავიდა პეტრეს ჯიბეში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ახალი ღირებულების შესაძენად ადამიანს უსათუოთ შრომა დასჭირდებოდა, რომ ამ ზემო—ნაჩვენებ გზისთვის არ მიემართა. პეტრემ ჰოახერხა 10 მანეთის შეძენა პავლეს ჯიბიდან თავის საკუთარ ჯიბეში გადატანით მხოლოთ იმიტომ,

რომ მან თავისი ფული გახადა სავაჭრო კაპიტალად.

უფრო ადვილათაც შეეძლო პეტრეს თავისი კაპიტალის გადიდება პავლეს საზარალოდ. სახელდობრ, პეტრეს შეეძლო თავისი 100 მანეთ. ესესხებია პავლესთვის იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელს უწყებულ ვადის შემდეგ უკანვე დაებრუნებია 100 მანეთი, 10 მანეთის სარგებლით, ე. ი. დაებრუნებია სულ 110 მანეთი. ამ მაგალითიდან ვხედავთ, რომ პეტრე თავისი კაპიტალის გასადიდებლად სრულიათაც არა ყიდულობს რაიმე საქონელს, რომ მერე მეტ ფასად გაყიდოს. აქ პეტრე პავლესაგან იღებს 10 მანეთს სულ ტყუილ-უბრალოთ, უმატებს თავის 100 მანეთს და ხელ-მეორეთ იწყებს ფულის სარგებლით გასესხებას,—ასე რომ მისი კაპიტალი ხდება სავახშო კაპიტალად. ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ არც სავაჭრო და არც სავახშო კაპიტალი არა ჰქმნის ახალ ღირებულებას, მათ მხოლოდ გაადაქვთ ერთი კაცის ქონება მეორეს ხელში.

კაპიტალს შეეძლება ახალი ღირებულების შექმნა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ის ნახავს და იყიდის ბაზარზე ერთ გვარ საქონელს, სახელდობ, ისეთ საქონელს, რომელიც შეიცავს ახალი ღირებულების შემქნელ ძალას, და თუ ამ ძალას მყიდველი თავის სასარგებლოთ

მოიხმარს. ერთათ-ერთი ძალა, რომელიც ჰქმნის ახალ ღირებულებას არის **მუშათა ძალა**. ამის გამო, როდესაც ბაზარზე გამოდის მუშა-ძალა საქონელივით გასასყიდად, ამას ყიდულობს ანუ ქირაობს ფულიანი კაცი იმ მიზნით, რომ ამ ძალას აწარმოებინოს ახალი ღირებულება ე. ი. გააკეთებინოს იმაზე მეტი ღირებულების ნივთები, რაც თვითონ აქვს მიცემული მუშა-ძალისთვის; წინაალმდეგ შემთხვევაში, ის მუშას არ დაიქირავებს. რა სარგებლობა ექნებოდა კაპიტალისტს მუშისაგან, რომ ამ უკანასკნელისთვის მიეცა მას სრული ღირებულება მთელი დღის ნაშრომისა. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავდა მუშის დაქირავებიდან. ასე რომ კაპიტალისტი თუ ქირაობს მუშას, ქირაობს იმიტომ, რომ გააკეთებინოს იმაზე მეტი, რასაც ხელფასად აძლევს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია კაპიტალს ზრდა, ე. ი. გადიდება. აქ ადვილათ უმატებს კაპიტალი ყოველ 100 მანეთს ნამდვილ ახალ ღირებულებას 10 მან. ამ მიზანს ჩვენი კაპიტალისტი შემდეგი საშუალებით აღწევს: ის ყიდულობს ბაზარზე მუშა-ძალას და აძლევს განსაზღვრულ ფასს, მოჰყავს საკუთარ ქარხანაში, ამუშავებს და ამ ძალით მომზადებულ ნივთებს თვითონ ყიდის, რასაკვირველია, თავისდა სასარგებლოთ.

თუ რა გვარ პირობებში ხდება შეუძლებელი მუშა-ძალის ასეთი ყიდვა, და თუ რაზეა დამოკიდებული ფასი ამ სრულიათ თავისებური თვისების საქონლისა, დავინახავთ შემდეგიდან.

VI.

მუშა-ძალა როგორც საქონელი.

როგორც წინეთაც იყო ნათქვამი, ყოველი საგანი შეიძლება გახდეს საქონლად. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ, რომ საგანის პატრონს ჰქონდეს ნება თავისუფლათ გამოიყენოს ის ნივთი, რომელიც უნდა გასცვლოს სხვა რამეზე. გარდა ამისა თვით საგანიც უნდა წარმოადგენდეს რაიმე სახმარ ღირებულებას, ე. ი. უნდა შეეძლოს ადამიანის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან, წინაალმდეგ შემთხვევაში, არავინ არ გასცვლის სასარგებლო ნივთს უსარგებლო საგანზე. გარდა ამისა, თვით სასარგებლო საგანი მისი პატრონისთვის არ უნდა შეადგენდეს სახმარ ღირებულებას, რადგან იგი თავის ცხოვრებისთვის საჭირო ნივთს ვერ გაიმეტებს და, მაშასადამე, არავის გაუცვლის.

ყველა ამ პირობებს ჩვენს დროში სრულიათ ეთანხმება მუშა-ძალა, რომელიც თავის თავს თვითონ ყიდის ბაზარზე. განვიხილოთ ის ისტორიული პირობები, რომელთა გამო მუშა-ძალა გარდაიქცა საქონლად.

სანამ მონობა იყო, მუშა-ძალის დაქირავება არავინ იცოდა; იმ დროს კაცს თავის მუშა-ძალითურთ ყიდიდენ ისე, როგორც ახლა პირუტყვებს ყიდიან და გაყიდვის შემდეგ მონა ხდებოდა მყიდველის კერძო საკუთრებად. მონას ისე უცქეროდენ მაშინ, როგორც საქონელს ანუ ნივთს, რომელიც შეგიძლია, როგორც და რაზედაც გსურს, გასცვალო ყოველ შემთხვევაში; ერთი სიტყვით, მონა წარმოადგენდა შრომის იარაღს, დაჯილდოებულს სიცოცხლით.

ასეთი შეხედლობისა იყო მონებზე საბერძნეთის ფილოსოფოსი არისტოტელი.

არც ბატონ-ყმობის დროს შეეძლო მუშა-ძალას საქონლად გახდომა. მუშას, რომელიც იძულებული იყო ემუშავნა თავისი ბატონისთვის თითქმის მთელ წელიწადს, არა ჰქონდა არავითარი უფლება თავის ნებაზე გამოეყენებია საკუთარი მუშა-ძალა, გაეცვალა ის ფულზე, ისე, როგორც სხვა-და-სხვა ნივთებს ცვლიან, და ამ გვარათ შესდგომოდა თავისი მუშა-ძალის ფასის გადიდებას ანუ მო

მატებას. ამ მხრივ ბატონ-ყმობა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა მონობისაგან.

მხოლოდ იმ დღიდან, რა დღიდანაც მუშამ მოიპოვა პიროვნული თავისუფლება და გახდა სხვა პირთაგან დამოუკიდებელი, ამ დღიდან მას უკვე შეეძლო ესარგებლა თვითონ თავისი შრომით საკუთარ სურვილისამებრ, უნდოდა გაყიდიდა სხვაზე რამდენიმე ხნის ვადით საკუთარ შრომას, უნდოდა თავისთვის იმუშავებდა.

ჩვენ ვიცით, რომ საგანი მხოლოდ მაშინ ხდება საქონლად, როდესაც იგი სასარგებლოა და როცა მისი პატრონი არ საჭიროებს მას: ამიტომ მუშა-ძალა, რომელიც ჰქმნის ყველაფერს, რაც-კი საჭიროა ცხოვრებაში, რითაც სცოცხლობს ხალხი და რაც მთელ კაცობრიობას ასულდგმულებს, მხოლოთ მაშინ ხდება საქონლად, როდესაც მას არავითარი პირდაპირი სარგებლობა აღარ მოაქვს პატრონისათვის, ე. ი. მაშინ, როდესაც მუშა-ძალის მქონე ველარ სარგებლობს ამ ძალით თვითონ, ვერ აწარმოებს თავისთვის ვერაფერს. კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლია ისარგებლოს თავისი შრომით, როდესაც მას აქვს მასალა და შრომის იარაღები. გარდა ამისა, მუშაობის დროს მას უნდა ჰქონდეს საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი. სადგომი და სხ. თუ მუშა-ძალის მექონს

აქვს დაუმუშავებელი მასალა, შრომის იარაღები და ყოველივე ის, რაც საჭიროა მისი არსებობისთვის, მაშინ იმას ფიქრადაც-კი არ მოუვა მიჰყიდოს სხვას თავისი მუშა-ძალა, რადგან იგი თვითონ იმუშავებს თავისთვის და მოამზადებს ახალ სახმარ ღირებულებას.

მაშასადამე, სანამ მუშა-ძალის მექონს თვითონ აქვს საკუთარი საშვალებანი წარმოებისთვის, მანამ მისი შრომაც, ანუ მუშა-ძალა, საქონლად არ გადაიქცევა. მაგრამ მუშათა ცხოვრებაში იბადება ისეთი პირობები, რომელთა გამო მუშა იძულებულია გაემგზავროს ბაზრისკენ და იქ გაჰყიდოს თვისი ერთათ-ერთი საკუთრება—მუშა-ძალა, ისე, როგორც საქონელი. თუ მუშამ ეს საქონელი ვერ გასცვალა ფულზე და თუ ამასთანავე არ მოეპოვება არავითარი სახსარი ცხოვრებისათვის, გარდა ამ მუშა-ძალისა, ამ შემთხვევაში მას მოელის სასტიკი შიმშილი, აუტანელი სიცივე და შემაშფოთებელი სიღატაკე, რომელიც იძულებულჰყოფს ჩვენს ბეჩავ მუშას დასთანხმდეს მუშა-ძალის მყიდველს ისეთ პირობებზე, რომელნიც სრულიათ არ შეეფერება მის პიროვნულ თავისუფლებას.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ შემდეგი: ძველათ, როდესაც წარმოება ხელოსნური (ამქრული, ремесленое) იყო, ყოველი ოსტატის

ანუ ხელოსნის შეგირდს იმედი ჰქონდა, რომ დადებულ ვადის შემდეგ, რაკი ხელობას შეისწავლიდა და უკვე ოსტატი გახდებოდა, ადვილათ მოაგროებდა ცოტაოდენ ფულს და იყიდიდა საჭირო დაზგას, რამდენსამე უბრალო შრომის იარაღს და თავისი შრომით ისარგებლებდა მხოლოდ თვითონ, იძულებული არ იქნებოდა სხვისთვის მიეყიდა იგი. მაგრამ ჩვენი დროის მუშას განა შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი როდისმე მესაკუთრე გახდება იმ ფაბრიკისა, რომელშიაც მუშაობს და რომლის დასასაკუთრებლად ფული ათი—ათასობით და ასი—ათასობით არის საჭირო? ცხადია, რომ ასეთ პირობებში არამც თუ თვითონ ის, არამედ მისი შვილებიც-კი მოქირავე მუშებად დარჩებიან და იძულებულნი იქნებიან ყიდონ საკუთარი მუშა-ძალა. ისინი, რომელნიც დღესაც კიდევ თავისთვის მუშაობენ წვრილ დაზგებზე პატარა სახელოსნოებში ჩქარა დაკეტავენ კერძო სახელოსნოებს და თავიანთ მუშა-ძალას ბაზარზე გაიტანენ გასაყიდად; ეს, რასაკვირველია, მოხდება იმიტომ, რომ, რაც დრო გადის, ფაბრიკების მხრივ კონკურეცია (მეტო�ba) მწვავდება; ამ კონკურენციის ქვეშ დღითი-დღე ირღვევა და დედამიწასთან სწორდება ხელოსნური წარმოება; ხელით სამუშაო დაზგების

პატრონები დღითი-დღე კოტრდებიან და ხდებიან მსხვილი, მაშინური წარმოების მსხვერპლად.

რაკი მუშა-ძალა საქონლად გადაიქცა და, მაშასადამე, შესაძლებელი შეიქნა მისი გაყიდვა, ისე, როგორც ყოველი საქონლისა, უნებლიეთ იბადება კითხვა: რამოდენა ღირებულება აქვს ამ საქონელს და რა ფასად შეიძლება მისი გაყიდვა ბაზარზე.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყოველი საქონლის ღირებულება დამოკიდებულია იმ სამუშაო დროს რაოდენობაზე, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ამ საქონლის მომზადებისათვის. მაგრამ მუშა-ძალის შესაქმნელად რა არის საჭირო?

ამაზე სულ უბრალო პასუხი შეგვიძლია მივცეთ. რათა მუშა-ძალა ყოველ დღე იშოვებოდეს ბაზარზე, ამისათვის საჭიროა, რომ ცოცხალი კაცი, რომელსაც ეს მუშა-ძალა გამოაქვს ბაზარზე გასაყიდად, იყოს ჯან-მთელი და შეეძლოს მუშაობა. მუშაობა-კი მხოლოდ ისეთ კაცს შეუძლია, რომელიც საკმარისათ იკვებება, რომელსაც აქვს ბინა, სადაც მას შეუძლია დაისვენოს, აქვს ტანისამოსი,—ერთი სიტყვით, აქვს ყოველივე ის, რაც საჭიროა მის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. აი სწორეთ ეს ცხოვრების საშუალება-

თა რაოდენობა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა, როგორც დანახარჯ მუშა-ძალის აღსადგენად, ისე ცხოვრებისა და, მაშასადამე მუშაობის გასაგრძობადაც, შეადგენს მუშა-ძალის გასაცვლელ ღირებულებას. მომუშავე რომ თავის შრომაში პირდაპირ იღებდეს სიცოცხლის შერჩენისათვის აუცილებლათ საჭირო საგნებს, ის მიიღებდა სწორეთ იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი არსებობისათვის. მაგრამ საზოგადოთ მუშა თავის შრომაში ფულს იღებს და მით ყიდულობს ყველაფერს, რაც კი საჭიროა მისი ცხოვრებისათვის. ამ გვარათ ის ფული, რომელიც მუშას ქირად ეძლევა შრომაში ხდება მუშა-ძალის ფასად, რომელიც უნდა ეყოს მუშას ყველა, ცხოვრებისათვის უსაჭიროეს საგანთა შესაძენად.

ადამიანებსა აქვთ სულ სხვა-და-სხვა გვარი მოთხოვნილება, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბუნება და საზოგადოებრივი წეს-წყობილება სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. იმ ქვეყნებში, სადაც ჰავა ცხელია, ადამიანი ნაკლებ ტანსაცმელს საჭიროებს, ნაკლებ საჭმელს და მასთან უბრალო სადგომს. ამიტომ იქ მუშის ხელფასი მცირეა. სულ წინაღმდეგს მოვლენას ვხედავთ ცივ ქვეყნებში; აქ ადამიანის მუშა-ძალის დასაცველად საჭიროა უფრო თბილი ტანსაცმელი, მეტი საჭმელი და მასთან შეშაც

სახლის გასათბობად. ცხადია, ასეთ ქვეყნებში მუშის ხელფასიც მეტი უნდა იყოს, რადგან აქაური მუშა ვერ შეიძენს ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს იმ ხელფასით, რომელსაც იღებენ ცხელი ქვეყნის მუშები, და ამის გამო მალე გაჭირვებაში დალევს სულს.

გარდა ამ ბუნებითი პირობებისა, რომელთაც თვალსაჩინო ზეგავლენა აქვთ მუშის ხელფასის რაოდენობაზე, მუშის ცხოვრებისათვის საჭირო საგნების თვისება-რაოდენობა და მაშასადამე, მუშის ხელფასიც დამოკიდებულია აგრეთვე მუშათა კლასის ჩვეულებებზე და მათ განვითარებაზე.

ხის ქერქის ქალამნები უფრო უხეიროთ შეინახავს ფეხებს, ვიდრე ტყავის ფეხსაცმელი, რომელსაც მუშა-ხალხი ძველათ არც-კი იცნობდა; ახლა-კი ეს ფეხსაცმელი გადაიქცა უსაჭიროეს მოთხოვნილებად ყველასათვის, ასე რომ დღეს მუშა არ გაყიდის თავის მუშა-ძალას ისეთ ფასში, რომელიც საშუალებას არ აძლევს ატაროს ტყავის ფეხსაცმელები. საფრანგეთში მუშამ ყოველ დღე უნდა ხორცი ჭამოს და გაზეთი იკითხოს, ამიტომ იგი ისეთ ხელფასს მოითხოვს, რომელიც მისცემს საშვალებას დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებანი.

მაგრამ რაგინდ მუშამ სავსებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, მალე ბე-

რდება, თანდათან ჰკარგავს ძალას და ბოლოს კვდება. ამ დაკარგულ ძალის ნაცვლად ბაზარზე უნდა გამოვიდეს სხვა, ნორჩი და ახალგაზდა ძალა. მუშა-ძალის ასე ბაზარზე განუწყვეტლად გამოსვლა შესაძლებელი ხდება მცხოვრებთა გამრავლების გამო. მუშათა ძველი თაობა თავისი სიკვდილის შემდეგ სტოვებს ახალგაზდა მუშა-ძალის მექონ შვილებს, მუშათა ახალ თაობას, რომელიც ძველ თაობასავით ყიდის საკუთარ მუშა-ძალას ბაზარზე და თავს ისე ირჩენს. მაშასადამე, მუშამ უნდა აიღოს იმოდენა ხელფასი, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება და ამასთანავე ზარდოს შვილებიც, სანამ ამათ არ შეეძლებათ საკუთარი შრომით თავის რჩენა*).

სამუშაო ძალა, რომელიც იყიდება და, მაშასადამე, დროებით მყიდველის ხელში გა-

*) აქედან აი რა გამოდის; რომ მცირე-წლოვან ბავშების შრომა აღიკრძალოს, სანამ ისინი კარგათ არ მომწიფდებიან, ამით მომუშავის ოჯახის შემოსავალი არ შემცირდება, რადგან დიდმა მუშებმა უნდა აიღონ იმოდენა ხელფასი რომელიც ეყოფა მათ როგორც თავის სარჩენად, ისე შვილების გამოსაზრდელათაც. უეჭველია, ამით მოიგებდა მთელი საზოგადოება, რადგან მუშათა შვილებს ექნებოდათ საშვალება ესწავლათ სკოლებში და ამ გვარათ ისინი სავსებით განავითარებდენ თავიანთ ძალას. მუშათა კლასი მოიგებდა კიდევ იმას, რომ ადგილები, რომლებიც მცირე-წლოვან ბავშებს უჭირავთ დაიცლებოდა, დიდ მუშათა მომეტებული რიცხვი იშოვიდა ადგილს და ამით შესუსტდებოდა მომუშავეთა შორის კონკურეცია, რომელიც მათ ხელფასს უმცირებს.

დადის, არ შეიძლება გავაცალკეოთ მომუშავისაგან; ეს ძალა იმყოფება მის მუსკულებში, ძარღვებში, ნერვებში და ტვინში. ამიტომ მუშა-ძალის გაყიდვა წარმოადგენს თვით მუშის დროებით გაყიდვას. მუშა-ძალის მყიდველს, თუ უნდა რაიმე სარგებლობას გამორჩეს ნაყიდ ძალას, უნდა ჰქონდეს უფლება მუშის პიროვნებაზე, რომ უჩვენოს მომუშავეს, რა გზით და როგორ უნდა მიმართოს მან თავისი დროებით გაქირავებული ძალა. აი რატომ არის, რომ მუშათა საანგარიშო წიგნებში, რომელებსაც მათ კაპიტალისტი აძლევს, პირველი ადგილი უჭირავს კაპიტალისტსა და მუშათა შორის საურთიერთო პირობათა გახსენებას.

დაქირავებული მუშა წუთობით ჰკარგავს თავის ძალას; ყოველ წამს მისი ძალიდან რამდენიმე ნაწილი გადადის კაპიტალისტის ხელში და მუშაობის გათავების შემდეგ, როცა მუშას უკვე სრულიათ მიცემული აქვს თავისი გაყირული ძალა, კაპიტალისტი ხდება პატრონი მის-მიერ ნაყიდ მუშა-ძალის ნაწარმოებისა; მუშა, რომელმაც თავისი გაყიდული ძალა სრულიათ გადასცა კაპიტალისტს, ხელ-მეორეთ თავისუფალი კაცი ხდება, რომელთანაც კაპიტალისტს ხელ-ახლათ შეუძლია დასდოს პირობა,—შეუძლია კიდევ მისცეს მას ფული და იყიდოს მისი მუშა-ძალა.

ამის შემდეგ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მუშა, სანამ დაქირავებულია, აძლევს მყიდველს თავის ერთათ-ერთ საქონელს—მუშა-ძალას ნაწილ-ნაწილად, მყიდველიც ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილად ისაკუთრებს ნაყიდ საქონელს—მუშა-ძალას, რომელშიაც ფულს მხოლოდ მუშაობის ბოლოს აძლევს იგი, რადგან მუშების წინდაწინ ხელფასის მიცემა ძალიან იშვიათი და შემთხვევითი მოვლენაა. მუშები თითქმის ყოველთვის წინდაწინ აძლევენ კაპიტალისტებს თავიანთი შრომის ნაყოფს, რის გამოც კაპიტალისტები ყოველ საათობით ეპატრონებიან ნაყიდ საქონელს—მუშა-ძალას და მუშები-კი ამ დროს არავითარ ჯილდოს არ იღებენ, ე. ი. მაშინვე არ იღებენ ხელფასს, რომელიც ეკუთვნის მათ უკვე დახარჯულ მუშა-ძალის ნაწილში.

თუ ხელფასის მიღების ვადა მუშებისა და კაპიტალისტის ხელშეკრულობის ძალით საკმაოთ ხანგრძლივია, მაშინ ვალი, რომელიც ედება კაპიტალისტს მუშებისაგან, უფრო იზრდება. თუ, მაგალითად, საფეიქრო ფაბრიკაში მზადდება ერთი საათის განმავლობაში 1000 არშინი ტილო და მაღაზიაში იგზავნება გასაყიდად, ხოლო მუშები თავიანთ ხელფასს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ იღებენ, აქედან ყველასათვის ცხადია, რომ მთელ ამ დროს

განმავლობაში მუშები საკუთარ ძალას ნისიათ აძლევენ კაპიტალისტს.

ეს გარემოება, რომელსაც პირველი შეხედვით მცირე ყურადღებას მიაქცევ, დიდმნიშვნელოვანია როგორც კაპიტალისტებისთვის, აგრეთვე მუშებისათვის*).

მუშათა დამქირავებელი თითქმის არას დროს არ ინახავს თავის ჯიბეში მუშებისთვის მისაცემ ფულს; ის ამ ფულს ათავსებს ბანკში და იღებს პროცენტს ანუ სარგებელს. დამქირავებელი რომ იძულებულ-ჰყონ გაუსწორდეს ხოლმე მუშებს ყოველ საღამოობით მუშაობის შემდეგ, ე. ი. მაშინვე, როგორც-კი ნაყიდი მუშა-ძალა მთლათ გადავა მის ხელში, უეჭველია, ის დაკარგავს იმ სარგებლობას, რომელსაც აძლევს მას მუშებისათვის მისაცემი ბანკში შეტანილი ფული. მართალია, თუ მუშის ხელფასი დღეში ათ შაურს ეთანასწორება და თუ სარგებელი წელიწადში ას მანეთზე მხოლოდ 5-ოდე მანეთია, მაშინ დამქირავებელს თვითეული მუშისაგან ერთი კვირის განმავლობაში შეხვდება მხოლოდ კაპეიკის ნაწილი. მაგრამ თუ ამან მთელ წელიწადს ასე გასტანა და თუ ამასთანავე დამქირავებელს ბლომათ ყავს მუშები, კაპეიკის ნაწილთაგან გვარიანი თანხა შესდგება.

*) სვიატლოვსკი, „ფაბრიკის მუშები“. ვარშავა 1889 წ., გვერდი 32.

ამაზე შეიძლება ასე გვიპასუხონ: ამ ფულს მუშები არა ჰკარგავენო, რადგან თავიანთი დღიური ხელფასი არ შეუძლიათ ბანკში შეიტანონ და ასარგებლონო. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშებისათვის დიდათ საზარალოა მათი შრომის ნისიათ გაყიდვა, რადგანაც უფულობის გამო ისინი ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს ყოველ დღე ნისიათ ყიდულობენ სხვა-და-სხვა წვრილ ჩარჩ-მედუქნეთაგან, რომლებიც ამ შემთხვევით მარჯვეთ სარგებლობენ და აძლევენ მუშებს უხეირო, გაფუჭებულ საქონელს, ატყუებენ წონაში, ზომაში და მასთან იღებენ ძალიან დიდ ფასებს. ვარშავის ოლქის ფაბრიკების ინსპექტორი ბ-ნი სვიატლოვსკი ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა საზიანოა მუშათათვის ხელფასის ასე გვიან მიცემა და დიად სამართლიანად მოითხოვს შემოკლებულ იქნეს ხელფასის მიცემის ვადა. *)

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ იყენებს კაპიტალისტი ნაყიდ მუშა-ძალას, რა ნაირათ სარგებლობს იგი ამ ცოცხალ საქონლით, მუშა-ძალით? ამ კითხვაზე რომ ნამდვილი პასუხი მივცეთ, საჭიროა დაწვრილებით განვიხილოთ, თუ როგორ ხდება საქონლის წარმოება.

---

*) «ფაბრიკის მუშები». გვერ 37.

თუ ვისმე სურს იმუშაოს, იმისთვის ყველაზე უწინ საჭიროა ის მასალა მოსძებნოს, რომელსაც თავისი შრომა უნდა შეუერთოს: მიწის მუშას მიწა უნდა ჰქონდეს, მემადნეს—მადანი, მჭედელს—რკინა. დაუმუშავებელი მასალა, როგორც მაგალითად: ხორბალი, მადანი და მატყლი, წარმოადგენს ბუნების ნაწარმოებს; ადამიანი თვითონ ვერავითარ ახალ მასალას ვერ შეჰქმნის. ის მხოლოდ არსებულ-ნივთიერებას გარეგან სახეს (ფორმას) უცვლის. დედა-მიწა, ჰაერი და წყალი—ყოველივე ეს წარმოადგენს უზარ-მაზარ მალაზიას, საიდანაც ადამიანი იღებს თავისი შრომისთვის მასალას. ადამიანი იღებს მასალას ამ მალაზიიდან, არღვევს მის ბუნებრივ ფორმას და აძლევს სხვა, თავისი ცხოვრებისათვის სასარგებლო, ფორმებს. ყოველი საგანი, რომელსაც ადამიანის შრომა დედამიწას აგლეჯს, მაგრამ რომელსაც ჯერ კიდევ დამუშავება აკლია,—როგორც მაგალითად, მიწიდან ამოთხრილი ქვანახშირი, მოჭრილი ხე და სხ., იწოდება დაუმუშავებელ მასალად.

მარტო მასალა რომ ქონდეს ეს არა კმარა მუშისათვის; ამ მასალას რომ მან თავისი შრომა შეუერთოს, ამისთვის საჭიროა სხვა საშუალებაც, როგორც დამატება მისი ხელებისა,—მაგ. ნიჩაბი, ან ისეთი რამ, რაც მის

მუშტს ლონესა ჰმატებს, როგორც მაგალითად, ჩაქუჩი და სხ. ასეთი დახმარებითი საშუალება: ნიჩაბი, ჩაქუჩი და სხ. იწოდება შრომის იარაღად. ქვა, რომელსაც ხმარობს ველური კაკლის გასატეხად, ისეთსავე შრომის იარაღს შეადგენს მისთვის, როგორსაც განათლებულ ერთათვის მაშინა.

დაუმუშავებელი მასალა, შრომის იარაღები და მუშა-ძალა—აი სამი უმთავრესი პირობა, რომელთა შეთანხმებული მოქმედება ამზადებს ახალ საქონელს (პროდუქტს, ნაყოფს). ამის შემდეგ, რაკი ეს სამი უმთავრესი პირობა გავიცანით, შეგვიძლია გავსაჯოთ, თუ როგორი გავლენა აქვთ მათ ახლათ მომზადებულ ნივთის ანუ საქონლის გასაცვლელ ღირებულებაზე.

ადამიანის შრომა ყოველ დაუმუშავებელ მასალას მუდამ უცვლის ფორმას ანუ გარეგან სახეს; მაგალითად, რკინას გათხელების შემწეობით რკინის ფურცლებად აქცევს. ამასთან დაუმუშავებელი მასალა ან სულ-მთლათ გარდიქმნება ახალ ნაწარმოებად, როგორც მაგალითად, რკინის ნაჭერი ფურცლად იქცევა, ან კიდევ სრულიათ მოისპობა, როგორც მაგალითად, ქვის ნახშირი რკინის გახურების დროს; ან-და მხოლოდ ნაწილი დაუმუშავებელ მასალისა გადავა ახლად მომზადებულ ნივთში,

დანარჩენი-კი ხმარების გარეშე რჩება, როგორც მაგალითად, ნართის ნახვეწი.

დაუმუშავებელი მასალის ღირებულება დამოკიდებულია იმ შრომის რაოდენობაზე, რომელიც მოანდომა ადამიანმა ამ მასალის მოპოვებას ანუ შეძენას. ეს ღირებულება უმეტ-ნაკლებოთ გადადის იმ ახლად მომზადებულ საგნის ღირებულებაში, რომელსაც ქმნის ადამიანის შრომა. თუ მკერვალი მაუდისაგან სერთუკს შეკერავს, უეჭველია, მაუდის ღირებულება უმეტ-ნაკლებოთ გადავა სერთუკის ღირებულებაში; მაშასადამე, დაუმუშავებელი მასალის ღირებულება სრულიად შედის ახლად მომზადებულ საგნის ღირებულებაში. ნაშრომში არავითარი სხვა ღირებულება არ შედის იმის გარდა, რასაც შრომა ქმნის. მხოლოდ შრომა უმატებს ახალ ღირებულებას.

შრომის საშვალება, ხელის იარაღი და მაშინა ხმარების გამო ცვდება. ქლიბი, რომელსაც ხმარობს ჩილინგარი, ჩლუნგდება და აღარ ვარგა სახმარებლად. ურემი, ტვირთის გადატან-გადმოტანის გამო, როგორც ყოველი სხვა საგანი, ძველდება ანუ ცვდება და აღარ ვარგა. შრომის იარაღთა წყალობით ნაწარმოების რაოდენობა შესამჩნევათ მატულობს. ჩილინგარი ერთი ქლიბით მოამზადებს მრავალ კლიტეს; მეურმე თავისი ურმით გადიტანს აუ-

არებელ ნახშირს. გავიგეთ, რომ დასამუშავებელ მასალის ღირებულება უმეტ-ნაკლებოთ გადადის ახლად მომზადებულ საგანში; ახლაკი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომის იარაღებიდან მხოლოდ იმ ნაწილის ღირებულება გადადის ნაწარმოებში, რომელიც გაცვდა ანუ გაფუჭდა ხმარების დროს. თუ ერთმა ქლიბმა იკმარა 100 კლიტის დასამზადებლად, უეჭველია, თვითეულ კლიტეში შევა ქლიბის ერთი მეასედი ღირებულების.

აქედან ცხადათ ვხედავთ, რომ შრომის იარაღი, ისე როგორც დაუმუშავებელი მასალა, არა ქმნის არავითარ ახალ ღირებულებას, თუმცა პირველი შეხედვით ადამიანს ჰგონია, რომ მაშინების გამოყენებამ, რომელმაც ადამიანის შრომა შეამცირა, ღირებულების შექმნაზე გავლენა იქონიაო. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღირებულებას მხოლოდ ადამიანის შრომა ქმნის. მხოლოდ ამ შრომით, ამ საწარმოო შრომით, ემატება ახალი ღირებულება იმ ღირებულებას, რომელიც არსებობს დაუმუშავებელ მასალაში და რომელიც გადავიდა გაცვეთილ იარაღებიდან ახლად მომზადებულ ნივთში.

თუ, მაგალითად, დავუმუშავებელ მასალის ღირებულება წარმოადგენს 10 საათის ნაშრომს და თუ ხმარების დროს გაცვეთილ შრომის იარაღთა ღირებულება ეთანასწორება 3 საათის

შრომას, ხოლო ამ მასალიდან ᲔᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ იარაღებით ახალი ნივთის მოსამზადებლათ საჭიროა 7 საათის შრომა, მაშინ ამ ნივთის ღირებულება შეადგენს 10+3+7=20 საათის ნაშრომს.

ავხსნათ უფრო გასაგებად. წარმოვიდგინოთ მაგალითად, რომ მუშის ერთი საათის შრომის ღირებულება ეთანასწორება 10 კაპეიკს. ოთხმა მუშამ ხელი მიჰყო კედლის აშენებას; ისინი ყიდულობენ თიხას 50 კაპეიკად, საიდანაც ამზადებენ 1000 ცალ აგურს; თიხის გამყიდველისაგანვე ქირაობენ აგურის ჭარხანას, ყოველივე საჭირო იარაღებით და მოწყობილობით, და ყოველ 1000 ცალ აგურის მომზადებაში 60 კაპ. ქირას აძლევენ, 1000 ცალ აგურის გამოსაწვავად იხარჯება 60 კაპეიკის ნახშირი, 1000 ცალ აგურის მომზადებას უნდებიან 24 საათს, ანუ ფულებად რომ გამოვხატოთ, ე. ი. ერთი საათი რომ 10 კაპეიკად დავაფასოთ, მივიღებთ 2 მან. და 40 კაპ. ამ გვარად, ღირებულება 1000 ცალი აგურის შეადგენს 50+60+60+2—40=4—მან. და 10 კაპ.

მართალია, მუშებმა წინდაწინ მისცეს ფასი დაუმუშავებელ მასალაში და შრომის იარაღებში, მაგრამ ამ ღირებულებას ისინი ნახავენ თავიანთ ნაშრომ აგურში. ამ ღირებულე-

ბას მათ დაუმატეს ახალი ღირებულება—თავიანთი შრომა (2 მან. 40 კაპ).

ასეთ მოვლენას ვხედავთ ყოველ-ნაირ წარმოებაში. ახლად მომზადებული ნივთი მუდამ შეიცავს როგორც ნახმარი მასალისა და შრომის იარაღთა ღირებულებას, აგრეთვე იმ შრომის ღირებულებას, რომელიც მის მომზადებაზე დახარჯულა.

ეს კანონი არავითარ შემთხვევაში არ იცვლება; თავისთვის მუშაობენ მუშები, თუ სხვისთვის—ეგ სულ-ერთია, კანონი კანონად რჩება. თუ მუშები თავისთვის მუშაობენ, მაშინ აგურების გაყიდვის დროს ყოველ სამუშაო საათში მიიღებენ 10 კაპ. თუ ამასთანავე მუშას, ვთქვათ, 60 კაპეიკად შეუძლია შეიძინოს დღეში ყველა, თავისი ცხოვრებისა და ოჯახისათვის საჭირო ნივთები, მაშინ მისი დღიური შრომა ეღირება 60 კაპეიკად. ასე რომ მის დასარჩენად საჭირო იქნებოდა დღეში მხოლოდ 6 საათის შრომა. მაშასადამე თუ ჩვენი მუშები დღეში მხოლოდ 6 საათს იშრომებენ, მაშინ იმოდენა ღირებულებას მოამზადებენ, რამოდენაც საჭიროა მათ შესანახად ანუ სარჩენად; მაგრამ თუ ორჯელ იმაზე მეტს იმუშავებენ, რაც მათთვის საჭიროა, მაშინ ღირებულება, რომელსაც ისინი შექმნიან, იქნება ორჯელ მეტი წინანდელზე და, რო-

გორც მათი შრომის ნაყოფი—აგური, ისე ეს ღირებულებაც მათ საკუთრებად დარჩება.

იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მუშები თავიანთ მუშა-ძალას აქირავებენ, საქმე ამავე გვარათ სრულდება, მხოლოდ მუშაობის დამთავრების შემდეგ სხვანაირი ანგარიში სდგება. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ დამქირავებელი თვითონ ყიდულობს ნახშირს, თიხას და ყოველ ხელ-საწყობს აგურის მოსამზადებლად და ხარჯავს იმდენ ფულს, რამდენიც მუშებმა დახარჯეს; მუშებისაგან ის ყიდულობს მუშა-ძალას და აძლევს ყოველ მუშას დღეში 60 კაპ. თუ ეს დაქირავებელი მუშები დღეში მხოლოდ 6 საათს იმუშავებენ მაშინ დამქირავებელი ანგარიშს რომ შეადგენს, ასეთ შედეგს მიადგება:

თიხაში მისცა . .	50 კაპ.
ნახშირში „ . .	60 „
შრომის იარაღებში .	60 „
ოთხ მუშას 60 კაპეიკობაზე დღეში 2 მ. და 40	„
სულ 4 მ. და 10 კაპ.	

ამ დახარჯულ ფულში დამქირავებელმა მიიღო 1000 ცალი აგური, რომლის ღირებულებაც შეადგენს 4 მან. და 10 კაპ.,—ე. ი. იმას, რაც დახარჯა, ასე რომ მწარმოებელი არც ზარალობს და არც არაფერს იგებს ჩვენი მწარმოებელი უეჭველია, მოიგებდა რამეს, რომ ვაჭრო-

ბა დაეწყო აგურით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მას ვაჭრად გახდომის სურვილი სრულიათაც არა აქვს. იმას, რომ სახეში ვაჭრად გახდომა ჰქონოდა, მაშინ თვითონ აღარ შეუდგებოდა აგურის წარმოებას, წავიდოდა და მზათ გაკეთებულს იყიდიდა. ერთათ-ერთი მიზანი მწარმოებლისა მუშა-ძალის ყიდვის დროს ის იყო, რომ ამ მუშა-ქალიდან მიეღო იმაზე მეტი ღირებულება, რაც თვითონ დახარჯა მის შესაძენად წინდაწინ; ე. ი. მიეღო წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალზე მეტი. მაგრამ ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან ჩვენ ამას ვერ ვხედავთ: იქ მწარმოებელი იღებს სწორეთ იმდენს, რაც დახარჯა,—არც მეტს, და არც ნაკლებს.

მწარმოებელი ასეთ შემთხვევაში მუშებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს ხოლმე: „თქვენი დღიური მუშა-ძალა მე სულმთად ვიყიდე: მაშასადამე, სრული უფლება მაქვს გამოვიყენო ეს თქვენგან ნაყიდი საქონელი ჩემი საკუთარი სურვილისამებრ. თუ, მაგალითად, მე ლიმონს ვყიდულობ, მისი სასარგებლო თვისებაც ე. ი. წვენი, მე მეკუთვნის. მე სრული უფლება მაქვს გამოვწუწნო ლიმონს უკანასკნელი წვეთი. თქვენი დღიური მუშა-ძალა 6 საათის განმავლობაში სულ რიდი იხარჯება; თქვენ შეგიძლიათ მეტი იმუშაოთ და ამიტომ მოვითხოვ თქვენგან დღეში 12 საათის შრომას.

მუშები იწყებენ მუშაობას დღეში 12 საათს, უეჭველია ორჯელ მეტ სამუშაო დროში მოამზადებენ ორჯელ მეტ აგურს (2000 ცალს) და მოანდომობენ ორჯელ მეტ მასალას. ახლა ანგარიში ასეთი იქნება.

თიხა. . .	1 მან.	(ორჯელ მეტი წინანდელზე)
ნახშირი . .	1 ,, 20 ,,	,,
შრომის იარაღი.	1 ,, 20 კაპ.	,,
მუშა 60 კაპ. .	2 მ. 40 კაპ.	(რაც წინეთ).
	სულ 5 მ. 80 კაპ.	

აი რამდენი დახარჯა მწარმოებელმა თავის თანხიდან (კაპიტალიდან) და მიიღო 2000 ცალი აგური, ასე რომ ყოველი 1000 ცალი აგური, როგორც წინანდელ ანგარიშებიდანაც დავინახეთ, ღირს 4 მ. და 10 კაპ.; მაშასადამე, 2000 ცალ აგურში ის მიიღებს 8 მ. და 20 კ. ანუ 2 მ. და 40 კაპეიკით მეტს დახარჯულზე. ეს 2 მ, და 40 კ. წარმოადგენს მოგებას კაპიტალისტისას. კაპიტალისტის მოგება შეჰქმნეს მუშებმა მეორე ექვსი საათის განმავლობაში, რომელშიაც მათ კაპიტალისტისაგან არავითარი ჯილდო არ მიუღიათ. როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან დავინახეთ, სანამ მუშები დღეში 6 საათს მუშაობდენ კაპიტალისტს არავითარი სარგებლობა არა რჩებოდა; მაგრამ როდესაც ამ უკანასკნე-

ლმა ისარგებლა მუშების მდგომარეობით და დღეში 6 საათის მაგივრად ორჯელ მეტი ე. ი. 12 საათი ამუშავა ისინი, ვნახეთ, რომ ოთხი მუშისაგან 2 მან. და 40 კაპ. სარგებლობა ნახა დღეში 6 საათს მუქთათ მუშაობით, სულ ოთხი კაცი იყო; ერთათ რომ ავიღოთ, ყველას 24 საათზე მეტი კქნებათ დახარჯული, და ფულად რომ გამოვხატოთ (ყოველი სამუშაო საათი ვიანგარიშოთ 10 კაპ.), შესდგება 2 მ. და 40 კ, ამ ზედ-მეტს, ანუ კაპიტალისტის სასარგებლოთ მუქთათ მომზადებულ ნივთების ღირებულებას, ჰქვია ზედ-მეტი ანუ დამატებითი ღირებულება. სავაჭრო კაპიტალს მხოლოდ მაშინ შეუძლია მისცეს ზედ-მეტი ღირებულება თავის პატრონს როცა ეს უკანასკნელი საქონელს იმაზე იაფიად იყიდის, რაცა ღირს, ან-და გაყიდის საქონელს იმაზე ძვირათ, რაც ღირს,

VII.

კაპიტალის ზრდა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა გზით იძენს კაპიტალისტი ზედ-მეტ ღირებულებას: ის ბაზარზე ქირაობს მუშა-ძალას და თავისი საკუთარი იარაღებით ამუშავებს დაუმუშავებელ მასალაზე; ბოლოს ყიდის ამ გვარათ მომზა-

დებულ ნივთებს და ბბრუნებს არა მარტო დახარჯულს ფულს, არამედ ზედ-მეტ ღირებულებას;

ამ ზედ-მეტ ღირებულებიდან კაპიტალისტი რამდენიმე ნაწილს თვითონ ხარჯავს ოჯახში, დანარჩენს-კი უმატებს ძირითად კაპიტალს. უეჭველია, ახლა მას მეტი კაპიტალი ექნება წინანდელთან შედარებით და, მაშასადამე, შეეძლება დაიქირაოს უფრო ბევრი მუშა, ხოლო, რადგანაც თვითეული მუშა აძლევს კაპიტალისტს განსაზღვრულ ზედ-მეტ ღირებულებას, ამიტომ კაპიტალისტის შემოსავალიც, ანუ მოგება, იმატებს. მეტი შემოსავალი მას ხელ-მეორეთ აძლევს საშვალებას დაიქირაოს კიდევ უფრო ბევრი მუშა და ამ გვარად გააფართოვოს ანუ გაადიდოს თავისი კაპიტალი. ასე რომ მუშათა კლასის რაოდენობა და მდგომარეობა დამოკიდებულია კაპიტალის ზრდაზე. პირველი შეხედვით კაპიტალისტის ინტერესი და მუშები თითქო ერთი და იგივეაო: მუშას შიმშილით სიკვდილი ელის, თუ კაპიტალისტმა საქმე არ მისცა; კაპიტალი მცირდება, თუ არ ყიდულობს მუშა-ძალას. ამიტომ რამდენათაც იზრდება კაპიტალი, იმდენათ ვითარდება მრეწველობა, იმდენათ უსაჭიროესი ხდება მუშა, და, მაშასადამე, მატულობს მუშის ხელფასი, ე. ი.

ძვირათ ყიდის იგი თავის შრომას. ერთი სიტყვით, მუშის ცოტათ თუ ბევრათ რიგიანი ცხოვრება სრულიად დამოკიდებულია სამრეწველო კაპიტალის ზრდაზე.

მაგრამ, მეორე მხრით, კაპიტალის ზრდა ნიშნავს კაპიტალისტების გაძლიერებას და მუშებზე მათი გავლენის გაფართოებას.

წარმოვიდგინოთ სულ უბრალო შემთხვევა, მაგალითად, როდესაც კაპიტალის ზრდასთან ერთათ მატულობს მოთხოვნილება შრომაზე და აქედან შრომის ფასიც, ე. ი. ხელფასი.

პატარა სახლი სრულიად აკმაყოფილებს თავის პატრონს, სანამ მის გარშემო მასავით პატარა სახლებია გაშენებული. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ამ სახლის მახლობლათ აშენდა ერთი, ორი ან კიდევ ათი სასახლე. ამ შემთხვევაში ჩვენი პატარა სახლი დიდრონ სახლებთან შედარებით უბრალო ქოხად მოგვეჩვენება და დაგვიმტკიცებს მხოლოდ მისი პატრონის სიღარიბეს, სასახლეთა პატრონებთან შედარებით. თუნდა შემდეგში ორჯელაც გადიდეს ჩვენი პატარა სახლი, მისი პატრონი მაინც გულ-ნაკლული იქნება, თუ ამ სახლის გადიდებასთან ერთათ გაადიდეს მის გარშემო გაშენებული სასახლეებიც.

მუშათა ხელფასის ყოველი ცოტათ თუ

ბევრათ შესამჩნევი აწევა უსათუოთ დააჩქარებს კაპიტალის ზრდას; ხოლო სწრაფათ კაპიტალის ზრდას მოსდევს სიმდიდრისა და გადაჭარბებული ქონების გამრავლება, მოთხოვნილებათა და სიამოვნების გაფართოება. ამიტომ თუმცა მუშის ცხოვრება წინანდელთან შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისმა მოთხოვნილებამ იმატა, რომლის დაკმაყოფილება მას აღარ შეუძლია და ამიტომ; ისე, როგორც ჩვენი პატარა სახლის პატრონი, მუშაც თავის თავს ახლა უფრო უბედურად გრძნობს წინანდელზე.

მუშის ხელფასი მუდამ შედარებითია. წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო საგნების ფასმა დაიკლო ორი მესამედით (გირვანქა პური, რომელსაც წინეთ 3 კაპ. ვყიდულობდით, ახლა 1 კაპ. ღირს), მუშის დღიურმა ხელფასმა-კი დაიკლო ერთი მესამედით (60 კაპ, მაგივრად მუშა იღებს 40 კაპ.). ახლა, მართალია, მუშა 40 კაპეიკად მეტ საქონელს შეიძენს, ვიდრე წინეთ 60 კაპ. (წინეთ 60 კაპ. მას შეეძლო ეყიდა მხოლოდ 20 გირ. პური, ახლა-კი 40 კაპ. იყიდის 40 გირ. პურს) თუმცა ეს ასეა, მაგრამ მუშის ხელფასი კაპიტალისტების შემოსავალთან შედარებით დაპატარავდა; ამ შემთხვევაში მუშა წინანდელზე მეტ შრომას აძლევს კაპიტალისტს. კაპიტალი-

სტი ჭეჭველია, დაიქირავებს უფრო ბევრ მუშა-ძალას. აქედან ჩვენა ვხედავთ, რომ მუშის ხელფასი და კაპიტალისტის შემოსავალი მუდამ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არის მომართული. კაპიტალისტის შემოსავალი მატულობს იმდენათ, რამდენათაც კლებულობს მუშის ხელფასი და, პირ-იქით, რამდენათაც მუშის ხელფასი მატულობს, იმდენათ კლებულობს კაპიტალისტის შემოსავალი.

აქამდი ვამბობდით, რომ სამრეწველო კაპიტალი თავისი ზრდის-და კვალათ ქირაობს დროს განმავლობაში სულ უფრო და უფრო ბევრ მუშა-ხელს და ამ გვარათ იწვევს მუშის ხელფასის მომატებას. მაგრამ განა ეს მუდამ ასეა? თუ განვიხილავთ ამ კითხვას, მივიღებთ წინააღმდეგ პასუხს.

კაპიტალის ზრდასთან მართლაც იზრდება და ძატულობს რიცხვი და სიმდიდრე კაპიტალისტებისა. გამრავლება კაპიტალისტებისა და ფაბრიკა-ქარხნების აძლიერებს კონკურენციას (მეტოქეობას) კაპიტალისტებ შორის, ასე რომ ყოველი მათგანი ცდილობს დაამარცხოს მეტოქე თავისი ნაწარმოების სიიაფით. მაგრამ ნაწარმოებიც რომ იაფათ გაყიდოს და არც იზარალოს, ამისთვის კაპიტალისტმა უნდა გააიაფოს წარმოება, ე. ი., რამდენათაც შესაძლებელია, გააძლიეროს შრომის საწარმოვო

ძალა. შრომის საწარმოვო ძალა-კი ძლიერდება შრომის განაწილების შემოღებით, ახალი მაშინების წარმოებაში შემოტანით და ძველი იარაღების გაუმჯობესებით. ახლა წარმოვიდგინოთ რომ შრომის განაწილების შემოღებით და გაუმჯობესებულ იარაღთა წარმოებაში შემოტანით ერთმა რომელიმე კაპიტალისტმა მოამზადა ერთსა და იმავე სამუშაო დროს განმავლობაში თავის მეტოქეებზე მეტი ნივთების; რიცხვი სახელდობრ, ის 1 არშინ ტილოსა ქსოვს იმ დროს განმავლობაში, რომელშიაც მისი მეტოქე ამზადებს მხოლოდ ½ არშინს, ჩვენს კაპიტალისტს შეეძლო ამის გამო გაეყიდა ტილო წინანდელ ფასში და ამ გვარათმეტი სარგებლობა მიეღო; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ რომ მისი გაუმჯობესებული მაშინები და გაფართოებული ფაბრიკა ამზადებენ წინანდელზე მეტ ტილოს; ამის გამო მან თავისი საქონლის გასასაღებლად ახალი ბაზარი ახალი მყიდველები უნდა შეიძინოს. ახალ მყიდველებს-კი ის მხოლოდ მაშინ შეიძენს, როდესაც ტილოს თავის მეტოქეებზე იაფათ გაყიდის. ის, რასაკვირველია არშინ ტილოს არ გაყიდის იმ ფასად, რა ფასადაც ყიდიდა ½ არშინს. ამ შემთხვევაში ახლათ შემოღებული, გაუმჯობესებული იარაღები მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, რადგან საზოგადოთ ისევ იმდენს მოიგებდა რამდენსაც წინეთ, და ტყუილ-უბრალოთ გაიჯახირებდა საქმეს მყიდველების ძებნით ორჯელ მეტ ტილოს გასასაღებლად. ისიც საკმარისია რომ ცოტათი სხვა მწარმოებლებზე უფრო იაფათ გაყიდოს მან ტილო;

ფასის დაკლებით იგი მრავალ მუშტარს წაართმევს თავის მეტოქეებს.

ჩვენი კაპიტალისტის ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა არ გასტანს დიდხანს; მისი მეტოქე კაპიტალისტებიც მალე შეიტანენ თავიანთ წარმოებაში იმავე გაუმჯობესებულ იარაღებს, რომელთა საშუალებით ჩვენი კაპიტალისტი იაფათ აწარმოებს საქონელს, და მათაც იაფათ დაუჯდებათ წარმოება. რათა მუშტრები უკან დაიბრუნონ მათ თავიანთი ნაწარმოები უფრო იაფათ უნდა გაყიდონ, ვიდრე მეტოქე ყიდის; ამ გვარათ მათ შორის გამწვავდება მეტოქეობა და ამის გამო ნაწარმოების ფასი დაიწევს ნამდვილ ღირებულებამდი.

კაპიტალისტები ხელ-ახლათ იმავე მდგომარეობაში ჩაცვივიან, როგორშიაც იყვნენ წინეთ, სანამ გაუმჯობესებულ იარაღებს შემოიღებდენ წარმოებაში; ამასთანავე მათ ახლა უნდა მოამზადონ ორჯელ იმაზე მეტი ტილო რასაც წინეთ ამზადებდენ, და ამ ტილოს გასასაღებლად მუშტარი იშოვონ. ამის გაგონ ყოველი მათგანი ხელ-ახლათ შეუდგება უფრო გაუმჯობესებულ იარაღთა შემოღებას, რომ ამით კიდევ დასწიოს ნაწარმოების ფასი და მიიზიდოს ახალ-ახალი მუშტრები. შეიძლება, ჩვენმა კაპიტალისტმა კიდევ სხვებზე უფრო ადრე შემოიღოს გაუმჯობესებული იარაღები, მაგრამ მის განსაკუთრებულ მდგომარეობას ისევ ისე მალე მოეღება ბოლო: მისი მეტოქე კაპიტალისტები მალე ისარგებლებენ ამ მაგალითით, ისინიც შემოიტანენ წარმოებაში გა-

უმჯობესებულ იარაღებს და ამ ნაირათ ისევ ის წინანდელი ისტორია გამეორდება.

რაგინდ კაპიტალისტმა რთული მაშინები შემოიღოს ამ ბრძოლაში, კონკურენციამაინც თავისას გაიტანს, იმიტომ რომ სხვა კაპიტალისტებიც მალე შეიძენენ ასეთ მაშინებს, ამას-კი შედეგად ის მოჰყვება რომ კაპიტალისტი ისევ წინანდელ ფასად მიაწოდებს მყიდველებს წინანდელზე 10-ჯერ, 20-ჯერ და 100 ჯერ მეტ საქონელს, ამის გამო ის იძულებული შეიქნება მოძებნოს საქონლის გასასაღებლად 10-ჯერ 20-ჯერ და 100-ჯერ მეტი მუშტარი. მაშასადამე, კაპიტალისტმა, თავისი მეცადინეობის მიუხედავათ ვერაფერი ვერ მოიგო, გარდა იმისა, რომ ის ახლა წინანდელზე მეტ საქონელს აწარმოებს. ერთი სიტყვით, მან თავისი მეცადინეობით დაბადა უფრო ძნელი და რთული პირობები თავისი კაპიტალის გასადიდებლად, ამას თვითონაც კარგათ გრძნობს მაგრამ საქმე ის არის რომ სხვა კაპიტალისტებთან დაუსრულებელი ბრძოლა, ანუ მეტოქეობა აიძულებს მას დაუსრულებლათ აუმჯობესოს შრომის იარაღები აფართოვოს წარმოება და შრომის განაწილება.

როგორი გავლენა აქვს ამ პირობებს მუშის ხელფასზე?

შრომის შესამჩნევათ განაწილება და გაუმჯობესებული მაშინები აძლევენ საშუალებას ერთ მუშას შეასრულოს ის საქმე, რომელსაც წინეთ 10 და 20 კაცი უნდებოდა. ამ გვარათ იქ, სადაც წინეთ 1000 მუშა იყო საჭირო, ახლა საკმარისი იქნება მხოლოდ 100; 900

მუშა-კი ულუკმა-პუროთ დარჩება, ესენი მეტოქეობას გაუწევენ იმ მუშებს, რომლებიც საქმეზე არიან, და ამით შეამცირებენ მათ ხელფასს.

გარდა ამისა, შრომის განაწილების გამო შრომაც გაადვილდება. მუშისთვის აღარც ცოდნა იქნება საჭირო და აღარც სიმარდე, მისგან მოითხოვენ მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივ მუშა-ძალას. ასეთ პირობებში შრომა ყველასათვის ხელ-მისაწდომი იქნება; ეს კიდევ ერთი-ათად გაამრავლებს მუშათა რიცხვს, გააძლიერებს მათ შორის მეტოქეობას და ამ გვარათ გაჭირებისა და აუტანელ შიმშილის გამო გააიაფებენ მუშა-ხელს. ასეთი შემცირება მუშის ხელფასისა კიდევ უფრო გაძლიერდება იმის გამო, რომ მუშათა მეტოქეობაში მონაწილეობას მიიღებენ ქალები და ბავშები, რომლებისათვისაც მაშინებზე მუშაობა შესაძლებელი შეიქნება.

ამ გვარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო ვითარდება სამრეწველო კაპიტალი, მით უფრო ფართოვდება შრომის განაწილება და გაუმჯობესებულ მაშინების შემოღება. ხოლო რაც უფრო ვითარდება შრომის განაწილება და მაშინების შემოღება, მით უფრო ძლიერდება მუშათა შორის მეტოქება (კონკურენცია), მით უფრო მცირდება შრომის ფასი; ყოველივე ამის გამო იზრდება და დღითი-დღე მატულობს მუშათა დაუსრულებელი სიღარიბე და უბედური მდგომარეობა.

ს ა რ ჩ ვ ი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

I. შრომა და მისი განაწილება.

II. ფუფუნება, განცხრომა (роскошь)

III. საქონლის ღირებულება

IV. ფული და ფასი.

V. კაპიტალი.

VI. მუშა-ძალა როგორც საქონელი

VII. კაპიტალის ზრდა.

მიიღეთ ახალი რუს. იაფფასიანი წიგნაკები

თანამედროვე კითხვების შესახებ

მარქსისა, ენგელსისა, ლასსალისა, ბებელისა ლიბკნეხტისა, კაუცკისა, ლაფარგისა, ჟორესისა, ლენგესი, ბრაკკესი და სხვა.

33
ბ 11

ფასი სამი შაურ.

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
ჩვენი გამოცემანი

	ფასი
№ 1 შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი ან. ფურცელაძისა	15 კ
« 3 ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა ,	20 კ
« 4 ქნარი ქარველ და უცხოელ პოეტების ლექსები	20 კ
« « იგივე კარგს ქაღალდზე	25 კ
« 5 ოპ მარგალიტავ და სხვა სასიმღერო ლექსები	10 კ
« 6 სალამური სხვა და სხვა სასიმღერო ლექსები	10 კ
« 7 სატრფო სხვა და სხვა სასიმღერო ლექსები	10 კ
« 8 სიცილ-ტირილი სატირული ლექსები და სცენები	10 კ
« 9 ორი პოემა I „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან «	
II „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა»	7 კ
« 10 ჩანგური, სადივერტისმენტო ლექსები და სცენები	60 კ
« « იგივე უკეთეს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით 1 მ	— «
« 11 ლექსები ვარლამ რუხაძისა	15 კ
« 12 ნესტარი, სატირა სხვა და სხვა მწერლებისა	5 კ

„სასამდროვო სახალხო მიმლიოთეკა"

« 13 ოჯახისა და კერძო საკუთრების წარმოშობა განვითარება. დედათ-მთავრული ოჯახი და პირველყოფილი კომუნიზმი მაქსიმე კოვალევსკისა	20 კ
« 14 მრეწველობის განვითარება იგივე შრომა და კაპიტალი პოლიტიკური ეკონომიის ანბანი. ბ. ს. თარ. ვ-ისა	15 კ

და სხვა და სხვა ქართული წიგნები

გამომც. ამხანაგობათა და კერძო პირთა გამოც.

ჩვენს გამოცემებზე ვინც პირდაპირ ჩვენგნი იყიდის დაეთმობა 20 დან 30 % ამდე.

სპ. ჭელიძე.

ჩვენი ადრესი *Вз г, Бат. Спирид. Челидзе*